პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

ხუთშაბათი 17 აგვისტო, 1978 წ. № 193 (17237) ფასი 2 კაპ.

შრომის ფერხულში!

ასრულდა მოსწავლის დიდი, ათწლიანი შრომა — თავდადებული, ბეჯითი მეცადინეობა მეცნიერების საფუძვლების შესასწავლად, დახავუკაცებლად, ცხოვრებისათვის მოსამზადებლად. მთელი ჩვენი სახელმწიფო, კომუნისტური პარტია, სკოლა, ოჯახი, საზოგადოებრიობა შეუნელებლად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ეს სწავლა-აღზრდის ათი წელი ნაყოფიერი, შედეგიანი ყოფილიყო, რომ ახალგაზრდას — ქალაშვილს თუ ჭაბუკს ჩანერგოდა ყოველივე აუცილებელი. რაც კომუნიზმის მშენებელი მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად არის საჭირო: ცოდნა, კულტურა, საჭიროების ხიყვარული, გამრჯობა. დამოუკიდებელი შრომის უნარ-ჩვევები.

და აი, ასეთნაირად შეიარაღებული, ცოდნას დაუფლებული ათაათასობით ქალაშვილი და ჭაბუკი, ვით არწივები ბუდიდან, აფრინდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო-სკოლებიდან და სკოლა-ინტერნატებიდან, რათა დადგომოდნენ დამოუკიდებელი ცხოვრების გზას. პირველი კითხვა, რაც მათ წინაშე ცხოვრებამ დასვა სკოლის შემდეგ, ეს არის: — საით? სწორედ ამ რთული და ხათუთი არჩევანის წინაშე მდგარმა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ქალაშვილმა და ჭაბუკმა უნდა იგრძნოს ახლოს, განსაკუთრებული გულთბილობით ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ახალგაზრდის ბედი, არც პედაგოგ-მასწავლებლებ მიუტოვებიათ თავიანთი აღზრდილები მარტონი მომავლის გზაზე. ცხადია, მათთან ერთად შშობლები, უფროსი მეგობრები; მათი მრჩეველი და დამხმარე მეგზური, როგორც ყოველთვის, ახლაც არის კომკავშირი, უმაღლესი სკოლა. საათკენსაც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი გაეშურა სწავლის გაგრძელების გაუნელებელი ხურვილით.

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა მეცნიერების, კულტურის, განათლების და საზოგადო მოღვაწეთა, სახალხო მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და სკოლა-ინტერნატების მოსწავლე ახალგაზრდობისადმი. ეს არაა უფროსი მეგობრებისაგან გამოწვდილი ჭეშმარიტი დახმარების ხელი, ცხოვრების გამოცდილებით ნაკარნახევი შშობლიური რჩევა-დარიგება, გულთბილი სიტყვა ახალგაზრდის ცხოვრების ურთულეს პერიოდში, ერთგვარი გარდატეხის დროს, სკოლის მერხიდან ცხოვრების დიდ გზაზე გასვლის ჟამს.

ამ მგზნებარე მიმართვას აუდელვებლად ვერ წაიკითხავს ვერც ერთი ჩვენი ჭაბუკი და ქალაშვილი, მთ უფრო ახლა, როცა რესპუბლიკის ახალგაზრდობისათვის არ არის სხვა უფრო დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანა, ვიდრე ის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს 1978 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის, მთლიანად მეათე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში. **ახალგაზრდობის შრომა—საშშობლოს!** — აი დევიზი, რომლითაც წელს ცხოვრების დიდ გზაზე გამოდიან სკოლადამთავრებული ქალაშვილები და ჭაბუკები,

ჯერ კიდევ დაძაბული, ცხარე დღეებია რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. მიმდინარეობს მისაღები გამოცდები. ახალგაზრდობის სულიერ ცხოვრებაში ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც ბოლო წლებში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ჭეშმარიტი, მუდმივი ზრუნვის შედეგად გახდა დემოკრატიის სამართლიანობის, სრულიად ადამიანურ და ნორმალურ ვითარებაში ცოდნისა და ნიჭის გამოვლინების ნიმუში. გზას დავულოცავთ ცოდნის ამ დიდ ლაშქრობაში გამარჯვებულ ახალგაზრდობას, ხოლო განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების გარეშე არ სტოვებს სამშობლო იმათ, რომელთა ცოდნა და მომზადება საკმაო ვერ შეიქმნა დიდ კონკურსში გასამარჯვებლად და მათ ყოველნაირად უწყობს ხელს გზა გაიკვლიონ ცხოვრებაში, აქედანვე ჩაებან შრომის ფერხულში.

ჩვენს დროში ხომ მკვეთრად შეიცვალა უმაღლესი განათლების შეძენის გზები. ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ სრულყოფილად უმაღლეს განათლებას წინ უნდა უსწრებდეს მუშახ პროფესიის მიღება. მით უფრო, რომ საქართველოს პროფტექნიკური განათლება უკვე წელს გადადის მუშათა კლასისათვის საშუალო განათლების მქონე ცვლის მომზადებაზე. ეს სასწავლებლები ელის ყველა მსურველ ჭაბუკსა და ქალაშვილს იმათი რიცხვიდან, ვინც ვერ მოხვდა უმაღლეს სასწავლებლებში, ან როგორღაც დღემდე ვერ განსაზღვრა თავისი მომავლის გზა. 32.300 მოსწავლის ადგილია ამ სასწავლებლებში წელს: ისინი ყოველ ახალგაზრდას უხსნიან ცხოვრების ფართო გზას, მისწრაფებისა და უნარის მიხედვით რომ აირჩიოს და დაეუფლოს პროფესიას.

უმაღლესი სასწავლებლების მისაღებ საკონკურსო გამოცდებზე მონაწილეობს ორმოცდაოთხ ათასზე მეტი აბიტურიენტი მარტო დღის სწავლებაზე. ამას თუ მივუმატებთ სწავლების სხვა ფორმებზე მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ აბიტურიენტთა სოლიდურ ციფრს, აღვილი წარმოსადგენია, ახალგაზრდობის რაოდენ დიდი ნაწილი აღმოჩნდება ჩაურიცხავი. ბოლო წლების დადებითმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება შეუძლიათ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პერიოდში ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის სპეციალურ კომისიებს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს სეროზული ნაკლოვანებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითს მოწყობაში. ბევრი ახალგაზრდა დაუსაქმებელია ქარელის, წალკის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ახპნძის რაიონებში, აქ ნაკლებია დასაქმების სფერო, განსაკუთრებით ზამთრობით; არის საწარმოებიდან და მეურნეობებიდან ახალგაზრდობის დენადობა. მაგალითად, შარშან ბათუმის სამკერვალო ფაბრიკიდან სკოლადამთავრებული 50 ახალგაზრდიდან 17 წავიდა სამუშაოდან. კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობაში 1977 წლის 1 სექტემბრისათვის მუშაობდა 51 სკოლადამთავრებული, ამჟამად კი—თერთმეტი. წარმოება-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით მათ ყოველწლიურად უნდა დაჯავშნონ გარკვეული რაოდენობით ადგილები ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისათვის. როგორც ადგილებიდან მიღებული ფაქტები ლაპარაკობენ ყველგან პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან ახალგაზრდობის შრომითს მოწყობას მთელ რიგ უწყებათა და სამინისტროთა საწარმოებში, ხოლო რაიონებში ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმის შესრულება ძირითადად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე მიმდინარეობს.

დიდია დამრიგებლობის როლი. ყველაზე გამოცდილი წარმოების თუ მშენებლობის მუშაკები უნდა ჩაუდგნენ სათავეში ახალმოსული სკოლადამთავრებული ახალგაზრდა მუშაობისათვის შრომას, ყოფა-ცხოვრების, დასვენების საუკეთესო პირობების შექმნას, მათს პროფესიულ სწავლებას, მათს ჯეროვან აღზრდას იმისათვის, რომ გახდნენ მუშათა კლასის ღირსეული შვილება. ასევე ჩვენი ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების გულთბილ, შშობლიურ ზრუნვას მოითხოვს სოფლის ახალგაზრდობა.

ცხადია, ყველა სკოლადამთავრებული როდი სცდის ბედს უმაღლეს სასწავლებლში შესასვლელად. დიდი ნაწილი სკოლიდან პირდაპირ წარმოებაში მიდის სამუშაოდ. „ჩვენი სურვილია, სოფლის კეთილდღეობისათვის, მისი ეკონომიკის განმტკიცებისათვის შემართულ თანასოფლელთა ერთსულოვან მეცადინეობას ჩვენ შრომაც შევუერთოთ.“ — განაცხადეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ჭაბუკებმა და ქალაშვილებმა, მათ სიტყვა საქმედ აქციეს — უკვე შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვს ახალგაზრდობის ენერგიისა და ენთუზიაზმის გამიზნულ წარმართვას. დე მათი შრომა მოხმარდეს სამშობლოს ძალისა და ძლიერების ზრდას.

საბჭოთა საქართველოს წარჩინებული ადამიანთა მიმართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლე ახალგაზრდობისადმი მოუწოდებს:

— დაე, თქვენი ნარჩინებული სწავლისა და გარჯის შედეგად კიდევ უფრო დამშვენდეს და განვითარდეს, აშენდეს ჩვენი სამშობლოს ნათელი მომავალი!

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა საქმით უპასუხებს ამ მოწოდებას.

ნოვატორთა მაგალითით

კომგაინერთა შეჯიბრება

ალოოგაში დაწინაურდნენ

შ. ნოზაძემ ნაშურის რაიონის ალის საბჭოთა მეურნეობაში დღეში 12 ჰექტარზე აიღო მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ი. გაგნიძემ და **დ. სკანდაძემ** ქარელის რაიონის ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობაში დღეში 8-8 ჰექტარზე აიღეს ხორბლის მოსავალი და ჰექტარზე საშუალოდ 25-25 ცენტნერი მარცვალი გალეწეს.

ი. კარაბაშვილმა თეთრი წყაროს რაიონის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში დღეში 8 ჰექტარზე აიღო მოსავალი და ჰექტარზე 21 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ვ. ხმალაძემ ახალციხის რაიონის სანერგე მეურნეობა-ტექნიკუმის მინდვრებში 7 ჰექტარზე აიღო პურეულის მოსავალი და ამით დადგენილ ნორმას 3 ჰექტარით გადაამტა. მან ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

პიროგას გავანაღლებთ

ცხინვალის ავტობუსების შეკეთებელი ქარხნის მრავალროვანი კოლექტივი შეხმატკბილებულად შრომობს მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულებების შესასრულებლად. წარმატებებს აქ დიდი შეუწყო ხელი რუსთაველელთა პატრიოტულმა თაოსნობამ — „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით!“ დღეს ქარხანაში არ არის მუშა, გეგმას რომ არ ასრულებდეს. გასული წლის შვიდ თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 10 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების გეგმა 103,1 პროცენტით შესრულდა. თავდადებული შრომით მთელ კოლექტივში გაითქვეს სახელი ხარატებმა ა. დუდაევმა, ა. კასრაძემ (დამრიგებელი), ძრავების გამოშვებელმა პ. დოგუზოვმა, ძრავების ამწყობმა ვ. ვახტანგაშვილმა და სხვებმა.

შრომითი ტემპი აგვისტოში კიდევ უფრო გაძლიერდა. . დავალება ვადაზე ადრე შესრულდება. ჩვენ წინაშე დასახული ამოცანას — 7 ოქტომბრისათვის შესრულდეს ხუთწლედის სამი წლის დავალება — წარმატებით გავანაღლებთ.

მ. ჯიოევი,
ცხინვალის ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის დირექტორი.

გორული ღვინოები —სარისხის ნიშნით

ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში მაღალნაყოფიერად შრომობენ „სატრესტის“ თბილისის შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანების გორის ღვინის ქარხნის (დირექტორი — დ. დადიანი) მშრომელები.

განვლილ შვიდ თვეში აქ გადაჭარბებით გაანაღდეს როგორც მთლიანი პროდუქციის გამოშვების, ისე რეალიზაციის სახელმწიფო დავალებები.

ამ დღეებში აქაურმა მეღვინეებმა მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მიიღეს: გორულ ღვინოებს „იტენურს“, „სახალისო“ წითელს და „სახალისო“ თეთრს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭათ. საპატიო ხუთკუთხედი პირველად დაამშვენებს გორის ქარხნის სამრეწველო პროდუქციას.

მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივი ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე წარადგენს კიდევ ერთ პროდუქციას — „თეკვერის“ ჯიშის ყურძნის ღვინო-მასალას.

გ. ბაშაკიძე,
„კომუნისტის“ კორ.

მეაბრეშუმეთა ნოგათი

უვარლის რაიონის მეაბრეშუმეებმა წარმატებას მიაღწიეს ხუთწლედის მესამე წლის გეგმა-ვალდებულებების შესრულებისათვის ბაჩაღლებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. **მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.201 ცენტნერი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 ცენტნერისა.**

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველომ.

გამოწვევას ვღებულობთ

ჯაფარიძელები მხარს უჭერენ ახმეტელი მეცხოველის ნარგიზა ილურიძის თაოსნობას

ბაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გავეცანით ახმეტელი მეცხოველის ნარგიზა ილურიძის თაოსნობას. მისი სიტყვა, პატრიოტული ინიციატივა, მართალია, რომ, დროული და გაჟღაცურია, შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან ერთად ჩვენ, წარმოებაში მომუშავეებმა, უნდა ვიფიქროთ, ვიფიქროთ, გადავწყვიტოთ, რათა რაც შეიძლება უახლოეს დროში გავზარდოთ ხორცის წარმოება. ამის ყველაზე საუკეთესო გზა, საშუალება არის მეღორეობა. გვაქვს პირუტყვის კარგი სადგომები, საკვები. მაშ რა გვაკლია? ვეთანხმები ჩემს კოლეგას, ნარგიზას, რომ გვაკლია მხოლოდ საერთო მოწადინება, საქმისადმი თავდადება.

რაც შეეხება ჩვენი ბრიგადის მუშაობას, შრომის შედეგებს, ასეთია: **დაგეგმილი 280-ის ნაცვლად 7 თვეში ვაწარმოეთ 375 ცენტნერი ხორცი, ე. ი. გეგმა შევასრულეთ 134 პროცენტით. 745-ის ნაცვლად მიღებული გვაქვს 1.077 გოჭი, ანუ გეგმის 144 პროცენტი. მეცხოველეობის საჯიშე გაერთიანებისათვის, საწარმო-დაწესებულებებისათვის და მოსახლეობისათვის ხორცი წარმოების გადიდების მიზნით მიყიდული გვაქვს 450 სული მოზარდეული.**

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, ვგრძნობთ, რომ მაინც დიდ ვალში ვართ მოსახლეობის წინაშე.

ბრიგადაში მოვითათბირეთ, ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, მხარი ავუბათ ახმეტელი მეცხოველის ნარგიზა ილურიძის პატრიოტულ თაოსნობას — **ხუთწლედი შევასრულოთ 4 წელიწადში. წელსვე ვაწარმოოთ 700 ცენტნერი ხორცი, გეგმაზე 250 ცენტნერით მეტი. ეს თითოეულ ნეზეზე გაანგარიშებით 1.400 კილოგრამია. მოსახლეობას და საწარმო-დაწესებულებებს მივაყიდით 650 გოჭს.**

ჯემალ ჭუჭულაშვილი,
წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორე ბრიგადირი.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „პროგრეს-3“:

საერთაშორისო გამოკვლევები

ფრუნზის მართვის ცენტრი, 16 აგვისტო. (საკადესი). დაწყო დედამიწისირგვლივ ორბიტაზე კოსმონავტების ვლადიმერ კოვალიონოკისა და ალექსანდრე ივანჩენკოვის მუშაობის მესამე თვე.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „პროგრეს-3“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟის დღევანდელი სამუშაო დღის უმეტესი წილი დათმობილი აქვს სამეფიცინო გამოკვლევებს, რომლებიც რეგულარულად ეწყობა ხანგრძლივი ფრენის დროს კოსმონავტთა მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის განსაზღვრისა და პროგნოზირების მიზნით.

„პოლინ-2 მ“, „რეოგრაფისა“ და „ბეტას“ აპარატურის საშუალებით ეკიპაჟი კომპლექსურად აკვლევს გულის კუმშვის ფუნქციას და იკვლევს სისხლის მიმოქცევის რეაქციას ველოერგომეტრზე დოზირებული ფიზიკური დატვირთვით.

დღის პროგრამაში შეტანილია აგრეთვე სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტი ორბიტული კომპლექსის სათავსებში ადამიანი გარემოს შედგენილობის შეცვლის დინამიკის შესწავლისათვის.

კომპლექსში გრძელდება დანადგარ „კრისტალსა“ და „შენადნობზე“ ტექნოლოგიური ექსპერიმენტები კოსმოსური მასალათმცოდნეობაში.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების მიხედვით, „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „პროგრეს-3“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები კოვალიონოკი და ივანჩენკოვი თავს კარგად გრძნობენ.

გვატყობინებენ საკადესის კორესპონდენტები

მეგობრობის ერთთვიური

15 აგვისტოს მოსკოვის მეგობრობის სახლში გაიმართა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავის აღსანიშნავი საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის ერთთვიურის გახსნას.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კორეის შრომის პარტიის, ორი ქვეყნისა და ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა გამსახურება სოციალიზმის ინტერესებს, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში კიმ ჯე ბონმა ილაპარაკა ბრძოლაზე, რომელსაც კორეელი ხალხი ეწევა სოციალიზმის აშენებისა და ქვეყნის მშვიდობიანი დემოკრატიული გაერთიანებისათვის. კორეელი ხალხი, თქვა მან, თვალსაჩინოვით უფრთხილდება საბჭოთა კავშირთან მეგობრობასა და თანამშრომლობას და გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდება და განმტკიცდება. (საკადესი).

ტრასის პულსი

კუნერმა. (ირკუტსკის ოლქი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების დედამიწის ქერქის ინსტიტუტის მეცნიერები განაგრძობენ ბამის უბანზე სადგურ კუნერმიდან ტინდამდე სეისმური და გეოლოგიური პირობების დაზუსტების სამუშაოებს. აქ მოწყობილია ინსტიტუტის რამდენიმე მუდმივმოქმედი გეოლოგიურ-სეისმური პოლიგონი, სადაც დაკვირვებასა და კვლევას მთელი წელი აწარმოებენ.

ყველაზე დიდი პოლიგონი შეიქმნა ჩრდილოეთ მუისკის გეობების მშენებლობის რაიონში.

კოდარის გეობების რაიონში ასევე მთელი წელი დაკვირვებებს აწარმოებენ მიწისძვრებზე.

ქალაქი სათბურებს აშენებს

ჩიტა. ყოველდღე ქალაქის მაღაზიები, სასადილოები და სბავშვო ბაღები ღებულებენ ახალ პამიდორს, კიტრს, ხახვსა და სალათს, რომლებიც საბჭოთა მეურნეობა „ჩერნოვსკაია“ მოაგვანილი.

შვიდი წლის წინათ ქალაქის გარეუბანში პირველი სათბურები ააშენეს. ახლა ამ მეურნეობას სამი ჰექტარი დაბურული გრუნტი აქვს. მომდინარე წლის შემოგროვისათვის მინის ქვეშ გაშენებული ბოსტანი კიდევ ექვსი ჰექტარით გაფართოვდა. დგება მესამე რიგის პროექტიც, რომლის ამოქმედების შემდეგ ქალაქი ახალი ხილით მთელი წლის მანძილზე მომარაგდება.

სოლონი ხვდება ახალმოსახლეებს

სოლონი. (ბამის აღმოსავლეთი უბანი). ვადამდე გადაეცა სექსლოატაციოდ რამდენიმე სახლი დაბა სოლონიში. ბაიკალ-ამურის მაგისტრალის აღმოსავლეთ უბანზე ყველა ეს სახლი ააშენა მ. ბალაევის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელმაც თითქმის ერთნახევარ წელი შეამკირა სამუშაოთა ვადები.

სოლონის აშენებენ ტაჯიკეთის წარგზავნილები. წელიწადზე ცოტა მეტია, რაც ისინი ტრასაზე მუშაობენ და ამ ხნის მანძილზე აქ შეიქმნა დასახლება კეთილმოწყობილი ბინებით, ხაყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატით, სასადილოთი, ბოსტნეულის სათავსით. სწრაფად იზრდება მომავალი სადგურიც.

ბამელებს უყვართ წიგნი

ახალი ბიბლიოთეკა გაიხსნა ტინდის ცენტრში. წიგნის მოყვარულებმა მიიღეს ფართო სამკითხველო დარბაზი. მოხერხებული სააბონემენტო ოთახები.

მაგისტრალის ცენტრალურ უბანზე შეიქმნა ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა. გარდა ტინდის მთავარი საბიბლიოთეკო ცენტრისა, ყველა დაბაში არის მისი ფილიალები, რომელთა წიგნის ფონდი ასი ათას ტომს აღემატება. ყოველ მშენებელს შეუძლია მიიღოს მისთვის საჭირო გამოცემა. თუ ის ადგილზე არ არის, წიგნი განაცხადით ტინდიდან ჩამოაქვთ.

აქ არც იმათ ივიწყებენ, ვინც შორს, ტაიგაში შრომობს: მათი მომსახურებისათვის შექმნილია 50-ზე მეტი მოძრავი ბიბლიოთეკა.

ხალხური სიმღერების მხარე

ომსკის მხარე განთქმულია სიმღერებით — საუკუნეთა მანძილზე მას ქმნიდნენ აქ გადასახლებული რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ბალტიისპირელი გლეხები. ახლაც იესება მათი სიმღერების „კოლექცია“ — ეს ცხადყო ომსკში გამართულმა მაირების პირველმა საოლქო დღესასწაულმა.

ორასი მოყვარული ერთმანეთს ეჯიბრებოდა თანამედროვე ხალხური სასიმღერო მინიატიურების შესრულების ოსტატობაში. მაყურებლებს განსაკუთრებით მოეწონათ სოფელ ცვეტნოპოლიის ფოლკლორული ანსამბლი, რომელმაც შეასრულა სახუმარო სიმღერები ადგილობრივ თემებზე.

16 აგვისტო

„პრავდის“ ფურცლებზე

ზნეობრივი აღზრდის ქმედითობა

საგზოთა ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის ცხოვრებისეულ პოზიციას კომუნისტური ზნეობა უდევს საფუძვლად, ამიტომაც ასე დაუცხრომლად, დღენიადაგ ზრუნავს ჩვენი პარტია კომუნისტური მორალის, სოციალისტური საერთო ცხოვრების მოთხოვნათა მტკიცედ დაცვის სულსაკვეთებით მშრომელთა აღზრდის მთელი სქემის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის. ადამიანის აღზრდის ამ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს ეძღვნება „პრავდის“ მოწინავე წერილი „ზნეობრივი აღზრდის ქმედითობა“, რომელშიც კერძოდ ვკითხულობთ: „სოციალისტური წყობილების, ლენინური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანი ახალი საზოგადოების ღირსეული მშენებელია. მასში შერწყმულია შესანიშნავი თვისებები — მაღალი მოქალაქეობრიობა, სულიერი კეთილშობილება, მორალური სიწმინდე. ჩვენი მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ამ ზნეობრივი ძალის მთავარი წყარო ის ღრმა რწმენა იყო და არის, რომ სწორი და უძლეველია კომუნიზმის იდეები და პრინციპები.

სწორედ იდეური მრწამსი განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ადამიანების სულიერ სახეს. მეათე ხუთწლედის სადაგი დღეები აღსავსეა მოვლენებითა და ფაქტებით, რომლებიც მათს შინაგან სიმდიდრეს, კეთილშობილურ მორალურ თვისებებს წარმოსახავენ...

...მთავარია ზნეობრივი აღზრდის ქმედითობა. ამასთან დაკავშირებით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ უზრუნველყოთ გონივრული, დამჯერებელი სიტყვისა და კონკრეტული საქმის, ცოცხალი მაგალითის ორგანული შეხამება. ასეთი შეხამება პრაქტიკულად მკაფიოდ არის ნაჩვენები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებში „მცირე მიწა“ და „აღორძინება“, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ კომუნისტების, უველა მშრომელის მორალურ-პოლიტიკური წრთობისათვის“.

ადამიანთა სწორ სულიერ ჩამოყალიბებას აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა ფორმა და საშუალება, პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა.

„როცა აღზრდის მეთოდებსა და ფორმებს ხრულყოფენ, პარტიული ორგანიზაციები იმით ხელმძღვანელობენ, რომ მისი საუფძველი საბჭოთა ადამიანების იდეური სიმწიფის ზრდაა. მასების პოლიტიკური შეგნების დონის ამაღლება ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში კომუნისტური მორალის პრინციპების შემდგომი განმტკიცების გადამწყვეტი პირობაა“, — ნათქვამია მოწინავეში.

ეოლგოგრადის ოლქის მიწათმოქმედნი ამთავრებენ ალოობას, ორგანიზებულად ლეწავენ პურეულს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად მათ აიტაცეს როსტოვის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ თაოსნობა და გაზრდილი ვალდებულება იკისრეს — სახელმწიფოს მიაყიდონ არანაკლებ 4 მილიონი ტონა მარცვლეული.

მეურნეობრიობაში პარტიული ორგანიზაციების როლის დიდ მნიშვნელობაზე წერს ჩერკასკის ოლქის ქ. სმელას მანქანათმაშენებელი ქარხნის დირექტორი, უკრაინის კომპარტიის სმელას საქალაქო კომიტეტის წევრი ი. ედნერალი წერილში **„საქალაქო კომიტეტის წევრის აზრით“.**

გაზეთი მკითხველებს მეორე გვერდზე აუწყებს, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ათთვისა ახალი მარკის სპეციალური ფოლადის წარმოება, რომელსაც „ჩრდილოური“ ეწოდა და გათვალისწინებულია უკიდურესი ჩრდილოეთისათვის მილების დასამზადებლად.

იწყება მასწავლებელთა აგვისტოს თათბირები. საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში ამ სერიოზულ მოვლენას ეძღვნება კრასნოდარელი მასწავლებლის ვ. ვახილიევის წერილი **„დაე თვითონ ეძიონ“** (რუბრიკა „აგვისტოს პედსაბჭოზე“).

მეოთხე-მეხუთე გვერდები ტრადიციულად ეთმობა საზღვარგარეთის ცხოვრებას; მეექვსე გვერდზე ქვეყნდება ახალი ამბები, სპორტული ინფორმაციები.

ПРАВДА

კულტურული თანამშრომლობა

რიგა. აქ დაიწყო საბერძნეთის დღეები სსრ კავშირში. ამ ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეხვდებიან რესპუბლიკის მშრომელებს, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებს; საბჭოთა მაყურებლის წინაშე პირველად გამოვა სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი „ლიკორ ელინიდონი“, ეწყობა ერთობული გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა. (საკადესი).

ხორცი შევასხათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს!

როცა კომუნისტებს გული შესტკივათ...

ამ სიტყვების სრული ჭეშმარიტება უმალვე შევიგრძენით, როცა არგვეთის მეგვნახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ კრებას დავესწარით, 200-ზე მეტი კომუნისტი საქმიანად ბჭობდა, მსჯელობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმების მიერ დასახული ამოცანების შესრულების გზებზე.

კომუნისტის ძალისა და შემართების გვწამს. და, თუ ეს ასეა, მაშინ ერთი მეურნეობისათვის ორ ასეულზე მეტი ასეთი მებრძოლი დიდი ძალაა. სწორედ მათმა, მუყაითმა და გამიზნულმა მუშაობამ მოახდინა ის მკვეთრი გარდატეხა, რაც არგვეთელებმა მიაღწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ.

მეურნეობის დირექტორის **ჟ. ზარანაძის** მოხსენება კონკრეტული ფაქტებით იყო მდიდარი. ყველა მათ საგაზეთო წერილი ვერ დაიტევს, მაგრამ ზოგიერთის აღნიშვნაც კი თვალნათლივ ცხადყოფს პარტიის აგრარული პოლიტიკის სიბრძნეს, მის კარგ პრაქტიკულ შედეგებს. 1965 წლამდე მეურნეობა სახელმწიფოს კმაყოფაზე იყო. ცალკეულ წლებში ზარალი აქ 200-300 ათას მანეთზე მეტს შეადგენდა. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ სწორედ 1965 წელს გახდა შესაძლებელი 1.700 მანეთი მოგების მიღება. ეს თანხა დღეს მარტო მევენახეობიდან 182 ათას მანეთამდე გაიზარდა. ახლა მუშები მაშინდელთან შედარებით 54 პროცენტით მეტ ხელფასს იღებენ. სასიკეთო ცვლილებები მოხდა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. აიგო ახალი სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, მაღაზიები, მუშათა სასადილოები, ბიბლიოთეკები, სამეურნეო დანიშნულების ობიექტები... სოფლის 800-მა მშრომელმა ახალი საცხოვრებელი სახლი აიშენა. ბევრ მევენახეს შეეძინა უზრუნველი მოხუცებულობა, დაინიშნა პენსია, ეძლევათ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო საგზურები.

ერთი სიტყვით, მოკლე დროში მოხდა დიდი ცვლილებები, და ამ მყარ საძირკველზე უკეთესი მომავლის პერსპექტივას სახავს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

სწორედ ამ პოზიციიდან უფრო საინტერესო იყო პარტიული კრება. კომუნისტები ლაპარაკობდნენ რწმენით, თუ როგორ აამაღლებენ თითოეული მუშის საზოგადოებრივ და საწარმოო პასუხისგებლობას.

კომუნისტმა მუშამ **უ. სამხარაძემ** საგულისხმო მაგალითი მოიყვანა.

— მეურნეობის ძირითადი პროფილი მეგვნახეობაა. არგვეთაში ხილი არ მოდის, თუმცა 90 ჰექტარი ბაღი გვაქვს, 10 ჰექტარი საუკეთესო მიწა დაფნის პლანტაციას უკავია, ჩვენი ფერთობები ესაზღვრება სვირის სახელმწიფო სანერგე მეურნეობას, მაგრამ ჩვენ მაინც საკუთარი სანერგე გვაქვს. მას 60-ზე მეტი კაცი უვლის. აქ, კრების დარბაზშია მეურნეობის საგეგმო განყოფილების უფროსი დ. დევდარიანი და დამეთანხმება, რომ ამ დარგებიდან ყოველწლიურად დიდ ზარალს ვნახულობთ. ეს ფერთობები უნდა გავთავისუფლოთ ნაკლებად პროდუქტიული, პირდაპირ რომ ვთქვათ, ჩვენს სინამდვილეში მოუსაცლიანი და ზარალიანი კულტურებისაგან. გამოთავისუფლებული 100 ჰექტარზე მეტი ფართობიდან ნახევარი გამოყენებული იქნება ვენახის გასაშენებლად, ხოლო მეორე ნახევარზე კი პირუტყვისათვის საკვებს ვიწარმოებთ, რისთვისაც ძალზე შეზღუდული პირობები გვაქვს.

კრება მოწონებით შეხვდა კომუნისტის აზრს და ისიც დაუმატეს შენიშვნის სახით, რომ სპეციალიზაციის და კონცენტრაციის პროგრამის განხორციელების შედეგად საბჭოთა მეურნეობის ფერმებში მოლოდ პროდუქტიული პირუტყვი და ღორები უნდა დარჩეს, სახორცე მიმართულების მოზარდეული კი რაიონში ახლად შექმნილ კომპლექსებში გაიგზავნოს. მხოლოდ და მხოლოდ ამ ღონისძიების განხორციელებით შეიძლება გახდეს მეცხოველეობა რენტაბელური...

მეცხოველეობის პრობლემებზე ილაპარაკა ფერმის გამგემ **გ. მჭედლიძემ:** მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსთვის მიყიდვის დავალებებს ვასრულებთ, მაგრამ ამით თავს ვერ ვინუგეშებთ, პროდუქციის საერთო წარმოებით ჩამოვრჩით გასული წლის შესაბამის დონეს, რაც გამოწვეულია სერიოზული მიზეზებით. მართალია, გამოყოფილ კომბინირებულ საკვებს ვიღებთ, მაგრამ ხშირი წყვეტილებებია მის მოწოდებაში, სიარული გვიხდება ბაზებიდან ბაზებში და ასევე ხშირად ხელცარიელი ვბრუნდებით მეურნეობაში. ზედმეტ ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, ძროხების პერიოდულად კვება კონცენტრატებით უარყოფითად მოქმედებს წველადობაზე. არც სხვა მხრივ გვაქვს სრული წესრიგი. საკვებშემამზადებელი საამქროს ამუშავება ჭიანურდება... „სოფლტექნიკის“ რაიონულმა გაერთიანებამ ვერ უზრუნველყო მოწყობილობის შემოზიდვა. პარტიის ზესტაფონის რაიკომი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ ამ საქმის მოგვარებით.

მეცხოველეთა წინაშე ვალში არიან მეურნეობის, დირექცია და პარტიული კომიტეტი, დღემდე სანახევროდაც არ არის შესრულებული სენაჟის და სილოსის დამზადების დავალებები, აგროტექნიკური წესების დაცვით არ მუშავდება 30 ჰექტარი სოიის ნათესი.

კრებაზე სიტყვა ბეგრმა წარმოთქვა, ესენი იყვნენ რიგითი კომუნისტები, ბრიგადირები, აგროგანყოფილებათა მმართველები, პარტიული კომიტეტის წევრები...

ორგვეთა ზვრების ფართობით და ყურძნის მოსავლით მთელი რაიონის საზოგადოებრივი სექტორის მეოთხეოდია. აქაური მევზვრეები წლევანდელი რთველისათვის 2.200 ტონა ყურძენს ჰპირდებიან ქვეყანას. ამ დავალების შესასრულებლად მტკიცე საფუძველი შექმნეს. გულს ახარებს მტევნებით დახუნძლული ზვრები, მაგრამ ამ სიხარულს. გაზიარების უფლება ყველას ერთნაირად როდი აქვს. მეურნეობის პარტიული ორგანიზაციების და მთლიანად პარტიული კომიტეტის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ მიერ გაწეული პარტიულ-ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ყოველთვის როდი აღწევს სასურველ შედეგს. კრებაზე დასახელეს ათობითი მუშა, რომლებიც გაურბიან პატიოსან შრომას, სოფლის შემარცხვენელი აღამიანები — გივი ლეკანის ძე, გივი ალუქსანდრის ძე და ოსუპ გიორგაძეები, ჯაბა სამხარაძე წლობით დადიან რესპუბლიკის გარეთ ოღონ სამოვარზე.

სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკვანძო პრობლემაა კადრებთან, განსაკუთრებით კი საშუალო რგოლის კადრებთან მუშაობა. ამ საკითხზე კიბოველი მსჯელობა გაიმართა კრებაზე. მეურნეობაში მომუშავე 25 ბრიგადირიდან უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება მხოლოდ 15-ს აქვს. დაძაბული სეზონური სამუშაოების პერიოდში, როგორც წესი, მექანიზატორები ცვლებად უნდა მუშაობდნენ. აქ კი მაგალ. რამეზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ნუ გაგიკვირდებათ და, თითოეულ მექანიზატორზე სამუალოდ 1.2 ფიზიკური ტრაქტორი მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი ტრაქტორი უმატრონოდ დგას, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, სამანქანო პარკის გამოყენების კოეფიციენტს, ფონდფუჭებას.

საინტერესო იყო მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნის **გ. კიკნაძის სიტყვა:** საზრუნავი მართლაც ბევრი გვაქვს, თქვა მან, ამ დღეებში აბაშაში გამართულმა თათბირმა სერიოზული საფიქრალი გაგვიჩინა. მეზობელ რაიონამდე ორი საათის სავალი გზაც არ არის, მაგრამ მათი მუშაობის მეთოდის დანერგვა ავერ მეოთხე წელია ვერ შევძელთ. აქ ითქვა, რომ ტრაქტორები გვაქვს და მექანიზატორები გვაკლიაო. ეს მთლად სწორი როდია. ჩვენი რაიონის სოფლებში მცხოვრებ ტრაქტორისტებს სად. არ შეხვდებით. ისინი პატიოსნად შრომობენ სხვაგან და გასამრჯელოსაც შესაფერისს ღებულობენ; ჩვენ კი, სამწუხაროდ, ასეთ პირობებს ვერ ვუქმნით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებების მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალფეროვანი პროგრამა შეკუმშულია. უპირველეს ყოვლისა დავნერგავთ მატერიალური სტიმულირების აბაშურ მეთოდს, ეს დიდად შეუწყობს ხელს შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, მიწის ნაყოფიერების ინტენსიურად გამოყენებას. ამასთან უფრო მიმზიდველს, უფრო შინაარსიანს გავხდით ... სოფლელ და სოფლად შრომას.

ო. ნიჟარაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სტუდენტური ფაფარული

სტუდენტური სამშენებლო რაზმი, „საქართველო-78“ — აერთიანებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 1000-მდე სტუდენტს.

უკვე მეხამე წელია მეხამე ხემხტრს ისინი სმოლენსკის ოლქის მშრომელებთან ერთად სხვადასხვა მშენებლობებზე, ატარებენ. მათს ანგარიშზეა მრავალი ფერმა, საქარხნო ობიექტი და წყალსაცავი. მათ 2 მილიონ მანეთზე მეტი სამუშაო უნდა შეასრულონ. „კოლხეთი“ და „მესხეთი“, „კავკასიონი“ და „გრემი“, „ლესელიძე“ და „გამარჯვება“ — აი ის რაზმები, რომლებსაც კარგად რომ სწავლობენ, თავიანთი ღირსეული წვლილიც შეაქვთ ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალ სასახელო საქმეში.

სოფელი დუროკა. აქ შრომობს ფილოსოფიაფსიქოლოგიის ფაკულტეტის რაზმი „გრემი“. იგი წარმატებით ირთმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, მოსახლეობისათვის გაჰყავს სარწყავი და სასმელი წყლის არხი. რაზმის მეთაური მურად შენგელია და მისი თითოეული წევრი, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, თავგამოდებით შრომობენ, რათა წყალსაცავის თავიანთი უბანი ვადაზე ადრე ჩაბარონ ხელმძღვანელობად. შესრულებულია სამუშაოს 60 პროცენტი. წინ ახალი წარმატებანი ელით, მათი წარმატება კი სამშობლოს, ხალხის და მშობლიური უნივერსიტეტის სახელი და გამარჯვებაც არის.

სურათზე: (მარცხნიდან) რაზმის კომისარი თენგიზ მიროტაძე და რაზმის მეთაური მურად შენგელია სამუშაოს მწარმოებელთან ანატოლი ზმანსკისთან ერთად (შუაში) არჩევენ სამუშაო ნახაზებს.

ვ. კობაიძისა და ა. უნაფქოშვილის ტექსტი და ფოტო.

ოციალისტური ეკონომიკა ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე ვითარდება. ცხადია. აქ წინასწარ არის ყოველმხრივ გათვალისწინებული თითოეული დარგის, გაერთიანებისა თუ საწარმოს მუშაობის ბოსალოდნელი შედეგები. გაზეთ „კომუნისტის“ 1978 წლის 16 მაისის ნომერში უკვე ეწერდით, თუ რაოდენ აუცილებელია, რომ ამა თუ იმ დარგში, გაერთიანებასა და საწარმოში შექმნილი შუალედური შედეგები შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობის დადგენილ პარამეტრებს. ეკონომიკის ერთი დარგის მუშაობის შედეგები თუ არ შეესაბამება მეორე დარგის მოთხოვნებს, ეს უარყოფითად იმოქმედებს როგორც თვით ამ დარგის, ისე მასთან დაკავშირებულ დარგთან და საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლებზე, საბოლოო ანგარიშით კი — საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონეზე. ამაში ორმად გვარწმუნებს სამეურნეო პრაქტიკა. საათმოსო მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილიდანაც.

ავიღოთ, თუნდაც შემთხვევა, როდესაც სამრეწველო საწარმოთა საქმიანობის შედეგები არ შეესაბამება ვაჭრობის მოთხოვნებს, ამით სერიოზული სიძნელეები იქმნება ორივე დარგის მუშაობაში.

სამრეწველო საწარმოთა მუშაობის შედეგებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნების შეუსაბამობა დიდ ზარალს აყენებს თვით სამრეწველო საწარმოებს: უარესდება მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მაჩვენებლები, დიდია ეკონომიკური სანქციები, დიდძალი შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსები იხარჯება წუნიანი პროდუქციის გადასაკეთებლად.

შარშან უსტანდარტო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 61,4 ათასი მანეთი, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას მაჩვენებელს დაკლდა 879,7 ათასი მანეთის უხარისხო პროდუქცია (საბითუმო ფასებით). საკმარისია თქვას, რომ მხოლოდ თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანს“ გეგმის შესრულებაში არ ჩაეთვალა 113439 მანეთის პროდუქცია, ხოლო ქუთაისის ტყავის ფეხსაცმლის კომბინატს — 149647 მანეთისა. უხარისხო პროდუქციის დამზადებამ გამო 48677 მანეთით შეუმცირდა რეალიზაციის დავალების შესრულების მაჩვენებელი ბათუმის ფეხსაცმლის კომბინატს, 52025 მანეთით — თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკას, 68592 მანეთით — სამტრედიის ჩაის საწნეხ ფაბრიკას, 44246 მანეთით — ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანებას, ასევე დიდია წუნდებული და დაბალი ხარისხის პროდუქციის დამზადებელ საწარმოთა მიერ მიღებული მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული ფულადი სახსრებიც. თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანს“ სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით ნაწარმის გამოშვებისათვის 5,7 ათასი მანეთით შეუმცირდა მოგება, ხოლო ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკას — 5,2 ათასი მანეთით. უხარისხო პროდუქციას რომ არ გამოშვება, 3,7 ათასი მანეთით მეტი იქნებოდა სამტრედიის ჩაის საწნეხი ფაბრიკის მოგება, ხოლო 17,4 ათასი მანეთით — თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკისა. უთუოდ გასათვალისწინებელია ის მეტად მნიშვნელოვანი ზარალიც, რომელსაც იწვევს ხოლმე სხვადასხვა საკონტროლო ორგანოების ან თვით სავაჭრო ორგანიზაციების მიერ სარეალიზაციოდ გამზადებული სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ჩამოქვეითება, ამა თუ იმ ნაწარმის გასაღების საერთოდ აკრძალვა.

ვინ ზარალობს,

როცა ერთი დარგი არ ითვალისწინებს მეორის მოთხოვნებს?

ამასთან, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველო და სხვა ორგანოები, როგორც წესი, გამოშვებული პროდუქციის ერთი ნაწილის ვარგისიანობას ამოწმებენ მხოლოდ. დამზადებული ნაწარმის მთლიანი მოცულობა რომ გაგვკონტროლებნა, ცხადია, გაცილებით მეტი და უფრო ხაგრძნობი იქნებოდა უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის მრეწველობისადმი წარხადგენი ჯარიმები და სხვა სახეობის ეკონომიკური სანქციები. მაგრამ რაგინდ დიდიც უნდა იყოს ამ სანქციებით გამოწვეული ზარალი, იგი მხოლოდ მრეწველობას შეეხება, ამიტომ ვერც ასახავს სრულად წუნდებული ნაწარმის მიწოდების შედეგად სხვა დარგებში შექმნილ სიძნელეებს.

უხარისხო პროდუქციის მიწოდება, დიდად აფერებს სავაჭრო საწარმოთა მუშაობასაც: ძნელდება რეალიზაციის პროცესი, უარესდება სავაჭრო-კომერციული საქმიანობის მაჩვენებლები, დიდძალი ნაწარმი ვერ პოულობს მომხმარებელს, მათი შენახვისა და მოვლა-პატრონობისათვის კი უნაყოფოდ იხარჯება ადამიანური შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები.

მაგალითად, გასული წლის პირველი ოქტომბრისათვის რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებში 78,5 მილიონ მანეთის ზენორმატიული სასაქონლო ნაშთები იყო. ამავე პერიოდისათვის თითქმის 5,3 მილიონ მანეთის ფეხსაცმლისა და დიდი ოდენობის სხვა სახეობის პროდუქციის, რეალიზაცია. ცხადია, ასეთი ნაწარმი დიდი ხნის მანძილზე ზენორმატიული სასაქონლო მარაგის სახით მძიმე ტვირთად აწევს სავაჭრო ორგანიზაციებს, მოსახლეობის მოთხოვნა კი ამავე სახეობის პროდუქციაზე დაუკმაყოფილებელი რჩება. ამ მოჩვენებითი სახალხო-სამეურნეო შედეგის მიხედვით დიდძალი შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსები დაიხარჯა, მიზანი კი განუხორციელებელი დარჩა.

საცალო სავაჭრო ქსელსა და საბითუმო ბაზებში ჩაწოლილი საქონლის რეალიზაციის დასაჩქარებლად აუცილებელი ხდება ნაწარმის საკმაოდ დიდ ნაწილზე მნიშვნელოვანი ფასდაკლება და ჩამოფასება. მხოლოდ შარშან რესპუბლიკის საცალო სავაჭრო ქსელსა და საბითუმო ბაზებში ჩამოფასდა 58144 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი.

გადაფასების შედეგად განახვევრდა, ცალკეულ შემთხვევაში კი უფრო მეტადაც დაქვეითდა ბევრი სახეობის პროდუქციის თავდაპირველი ღირებულება.

ასეთი დიდი ფასდაკლების მიუხედავად, ვერ პოვა მომხმარებელი ძნელად სარეალიზაციო საქონლის ხაკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა: გაუსაღებელი დარჩა 10746 ათასი მანეთის ჩამოფასებული საქონელი, მათ შორის 573 ათასი მანეთის — ქსოვილი, 3066 ათასი მანეთის — ტანსაცმელი და თეთრეული, 931 ათასი მანეთის — ზედა ტრიკოტაჟის ნაწარმი, 3191 ათასი მანეთის — ტყავის, ტილოსა და კომბინირებული ფეხსაცმელი; 870 ათასი მანეთის — საგალანტერეო ნაწარმი და სხვ.

ზემოთქმული განაპირობებს იმას, რომ საქონლით გადატვირთვის მიუხედავად, საცალო ხაკვაჭრო ქსელი მწვავედ განიცდის ამა თუ იმ სახეობის, ასორტიმენტის, ზომის, ფასონის, მოდელის, ფერისა თუ სხვა ესთეტიკურ-სამომხმარებლო პარამეტრების მქონე პროდუქციის ნაკლებობას. ეს კი უეჭველია ყოველსა იმის მიზეზია, რომ ზოგიერთი სამრეწველო საწარმო ნაკლებად ითვალისწინებს ვაჭრობის მოთხოვნას — გამოდეენებულია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საერთო მაჩვენებლების შესრულებას და ანგარიშს არ უწევს იმას, რომ სავაჭრო ქსელმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს არა ფართო მოხმარების საქონელი, საერთოდ, არამედ მისი ესა თუ იხ კონკრეტული სახეობა.

სავაჭრო საწარმოთა მუშაობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ზშირად მრეწველობა ვერ უზრუნველყოფს ვაჭრობისათვის პროდუქციის ასორტიმენტის მიხედვით კი არა, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოცულობით მიწოდებასაც კი. განა ამაზე არ მეტყველებს ის, რომ შარშან რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა სავაჭრო ორგანიზაციებს 80 მილიონი მანეთით ნაკლები ფასით მოამზადეს ნაწარმი მიწოდა.

სავაჭრო საწარმოთა ნორმალური საქმიანობა ფერხდება იმის გამოც, რომ უხეშად ირღვევა ნაწარმის მიწოდების გრაფიკი. როგორც წესი, სამრეწველო საწარმოები სავაჭრო ორგანიზაციებს ცალკეულ თვეებისა და კვარტალების გეგმებით გათვალისწინებული პროდუქციის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს სანერგიშო პერიოდის მიწურულს აწვდიან. ამის გამო საქონელბრუნვის თვიური გეგმების ძირითადი ნაწილი თვის მესამე დეკადაში სრულდება. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს იწვევს ვაჭრობის მუშაკთა დამატებულ მუშაობას, თვით მომხმარებელი ვერ იძენს საჭირო ნივთს მისთვის სასურველ დროს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად თვით ხავაჭრო ორგანიზაციებიც ცოდავენ მოსახლეობის მოთხოვნის შეხწავლაში და მრეწველობას დაუსაბუთებელ (ხელოვნურად გადიდებულ ან ხელოვნურად შემცირებულ) შეკვეთა-განაცხადებს უდგენენ. არცთუ იშვიათია შეკვეთა-განაცხადების დაგვიანებით წარდგენის ან საერთოდ წარადგენლობის შემთხვევებიც. ყოველივე ეს ართულებს, ზოგჯერ კი შეუძლებელსაც ხდის იმას, რომ სამრეწველო საწარმოებმა საწარმოო პროგრამების შემუშავებისას სწორად დასაბუთონ ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა და ასორტიმენტული სტრუქტურა.

რაც მთავარია, ერთი მხრივ, გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობაში მოსახლეობის მოთხოვნისადმი შეუსაბამო ნაწარმის საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა, ხოლო მეორე მხრივ, ასორტიმენტულ სტრუქტურასა და მიწოდების დავალებების შესრულებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დონეზე.

მართლაც. შარშან რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, დაახლოებით 700 მანეთის საქონელი გაიყიდა, საშუალოდ ჩვენს ქვეყანაში კი შესაბამისი მაჩვენებელი 880 მანეთს უდრიდა. საერთოდ ფართო მოხმარების ნაწარმის უკმარისობა კი არა, უწინარეს ყოვლისა ხათანადო ასორტიმენტის, სტრუქტურისა და ხარისხის საქონლის ნიმცირეა იმის უპირველესი მიზეზი, რომ რესპუბლიკაში გაუმართლებლად დაბალია საქონელბრუნვის განვითარების დონე.

მოთხოვნისა და მიწოდების დისპროპორციის შედეგად რესპუბლიკაში თითქმის ორი ბოლო ათეული წლის განმავლობაში ხიხტემატურად გაუწონასწორებელი რჩება მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავალი, ვერ ხერხდება მოსახლეობის შემოსავლის სწორმნობი ნაწილის ადგილზე რეალიზაცია. მოსახლეობას გარკვეული ნაწილი სხვა რესპუბლიკებში იძენს მისთვის სასურველ პროდუქციას. ეს კი, რომ არფერი ვთქვათ სხვა ნეგატიურ მოვლენებზე, შშრომელთა გაუმართლებელ დროისა და ფულად-დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

ნარმოებისა და მიმოქცევის პროცესში დარგთა და საწარმოთა ეკონომიკური კავშირურთიერთობის გაუმჯობესება, მათი ურთიერთხელსაყრელი, საქმიანი თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაფართოება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია. როგორ ავამოქმედოთ მთელი უგუგებით საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების გაუმჯობესების ეს ღიდმნიშვნელოვანი ფაქტორი?

ო. ფურლაია,
ჟურნალ „ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

მეათე სუთფლედის მოფინავენი

მსხვილიძეების ოჯახის დიდება

მაღალი ნაწვლის მიღება სამთო მეცხოველეობაშიც შეიძლება — დაამტკიცა ადიგენის რაიონის ვარხანის საბჭოთა მეურნეობის მწველავმა ელენე მსხვილიძემ. მისი შედეგი — 3.000 კილოგრამი რძე ერთ ძროხაზე — თითქმის ერთიორად სჭარბობს საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებელს.

ორი შრომითი დიდების ორდენის კავალერმა ელენე მსხვილიძემ რაიონში პირველმა შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის სამი წლის გეგმა. ფერმაში ელენე მსხვილიძე უკვე ოც წელზე მეტია მუშაობს. ამდენ ხანსვე შრომობს მასთან ერთად მეუღლე გიორგიც. იგი სათავეში უდგას მეცხოველეთა ბრიგადას, რომელიც აგერ უკვე მეხამე წელია ზედიზედ არავის უთმობს პირველობას სოციალისტურ შეჯიბრებაში. საბჭოთა არმიაში სამსახურის შემდეგ ფერმაში სამუშაოდ მოვიდა მათი ვაჟი ტრისტანიც.

მეცხოველე მსხვილიძეებს ბევრ სოფელში იცნობენ. მათთან ჩამოდიან გამოცდილების გადასაღებად ახალგაზრდა მეცხოველეები. რაიონის ათობით მწველავი ჩაბმულია შეჯიბრებაში, რათა მსხვილიძეების ოჯახის მაგალითისამებრ, თითოეულ ძროხაზე მიიღოს 3000 კილოგრამი რძე. ახლა ყველანი, ვინც სახოფლო-სამეურნეო წარმოებაშია დასაქმებული, თავიანთ ცხოვრებასა და საქმეებს ამოწმებენ და უღარებენ ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დასახა. მეცხოველე მსხვილიძეებმაც ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

— ჩვენ საოჯახო საბჭოზე გამოვიანგარიშეთ, — გაგვიმხილა „საიდუმლო“ ტრისტან მსხვილიძემ, — რომ საშუალოდ ერთ ძროხაზე 3.200-3.500 კილოგრამი რძის მიღება საკმაოდ შესაძლებელია ჩვენს პირობებშიც.

ვ. გულაშვილი,
საქინფორმის კორ.

გაიფარდა ნამატი

მარნეული. (საკ. კორ.). კარგი ნამატი მიიღეს წლეულს მარნეულელმა მეცხვარეებმა. მათ შარშანდელთან შედარებით 737-ით გაზარდეს ბატკნების სულადობა და 300 სულზე მეტით გადაჭარბეს გეგმას. 4 ათას სულზე მეტით წინ უსწრებს დავალებას აგრეთვე ცხვრის რაოდენობა.

ჭორბილი

„კომუნისტის“ ბასრიდან ფრაზები

გავუფრთხილდეთ ბიოსფეროს

ადამიანი და ბუნება

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციი და ბუნების დარგში მოსახლეობის განათლების აუცილებლობა

□

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად გარემოს გაჭუჭყიანების ტენდენცია კაცობრიობის შეშფოთების იწვევს. იზრდება წყლის, ატმოსფეროსა და ნიადაგის გაჭუჭყიანება. იფიტება და ზოგჯერ ისპობა ფლორისა და ფაუნის ზოგიერთი სახეობა, მცირდება ბუნებრივი რესურსების მარაგი, კაცობრობას თანდათანობით ხელიდან ეცლება არსებობის ნორმალური პირობები.

პროგრესულ სახოგადოებრიობას ებადება კითხვა — შეძლებს თუ არა კაცობრობა ბუნების დაცვის გლობალური ღონისძიებებით ბიოსფეროს ისეთ სტაბილიზაციას, რომლის დროსაც ადამიანი ნორმალურად იცხოვრებს, თუ ადამიანის სიცოცხლეს პლანეტაზე კატასტროფა მოელის?

ამ კითხვაზე უკვე არსებობს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პასუხი. მეცნიერთა ერთი ჯგუფი წინასწარმეტყველებს ბიოსფეროს მოსალოდნელ კატასტროფას, ხოლო მეცნიერთა დიდი უმრავლესობა და მათ შორის საბჭოთა მეცნიერები სათანადო გამოკვლევების საფუძველზე ადასტურებენ, რომ კაცობრობას გაერთიანებული ძალებით შეუძლია არა მარტო შეაჩეროს მოსალოდნელი კატასტროფა, არამედ შექმნას დედამიწაზე ადამიანისათვის ოპტიმალური გარემო.

ბიოსფეროში ადამიანისათვის მავნე ცვლილებებმა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ განაპირობა კონტინენტებისა და სახელმწიფოთა მასშტაბით სპეციალური ორგანიზაციების შექმნა. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკაში შექმნილია ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე გარემოს გაჭუჭყიანებას იწვევს მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მექანიზაციის საშუალებები. მართალია დღეს სახალხო მეურნეობის ამ დარგების განუვთარებლად შეუძლებელია კულტურული ადამიანის არსებობა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს დარგები თავისი ნარჩენებით აუარესებენ ადამიანის ბინადრობის გარემოს, ამიტომ ამის თავიდან ასაცილებლად უნდა განსორციელდეს ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის ღონისძიებათა სისტემა.

საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელება დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ არის მიჩნეული. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაზომიერი სისტემა სოციალისტურ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს აკრძალონ ისეთი საწარმოთა მშენებლობა, რომლებიც დიდი თუ მცირე მასშტაბით აჭუჭყიანებენ გარემოს. ამავე დროს სოციალისტურ სახელმწიფოთა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულია გარემოს დაცვა. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე მიღებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმა, სადაც ცალკე გამოყოფილია ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი. უნდა ამოქმედდეს გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლების საწმენდი სადგურები, გათვალისწინებულია წყალგამწმენდების მშენებლობა შავი, აზოვის, კასპიის ზღვების, ბალტიის ზღვისა და მთელ რიგ მდინარეთა აუზებში. მრეწველობაში დაინერგა ახალი ტექნოლოგიური საშუალებები ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად. სსრ კავშირში ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით წლეულს ბიუჯეტით დაიხარჯება 2 მილიარდ მანეთზე მეტი.

ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიღებული აქვთ მთელი რიგი დადგენილებანი ბუნების დაცვის დარგში. თუ რა დიდი ყურადღება ექცევა სსრ კავშირში ბუნების დაცვას, ეს ნათლად ჩანს ახალ კონსტიტუციაში. მის მე-18, 42-ე, 67-ე და 73-ე მუხლებში ჩამოყალიბებულია საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის ვალდებულებანი ბუნების დაცვის დარგში.

სულ სხვა ვითარებაა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულ შტატებზე მსოფლიოს ატმოსფეროს გაჭუჭყიანების 40 პროცენტი მოდის. ტოკიოში მოსახლეობა იძულებულია ზ

ათეისტურ თემაზე

რელიგია და თანამედროვეობა

უკანასკნელ წლებში კაპიტალისტურ ქვეყნებში, უპირველესად კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეგრეთწოდებული „პიროვნების თავისუფლების“ შესახებ გაჩაღებულ კამპანიაში გარკვეული ადგილი რელიგიას და ეკლესიას აქვს განკუთვნილი.

ბურჟუაზიულ-კლერიკალური ფილოსოფიკატორები ხაბჭოთა კავშირში რელიგიის და ეკლესიის მდგომარეობის მცდარი ინტერპრეტაციის, ჩვენს ქვეყანაში წარმოებული მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის მრუდე სარკეში წარმოდგენის საშუალებით ცდილობენ სოციალისტური ხალხმეწყოს ავტორიტეტის შელახვას. მათი მტკიცებით, საბჭოთა კავშირში არ განხორციელებულა რელიგიური რწმენის თავისუფლება, დევნიან და ავიწროებენ კულტის მსახურებს და მორწმუნეებს, ხორცელდება ეკლესიების სრული ლიკვიდაციის ფარული გეგმა. შექმნილ მთსა და სინამდვილეს შორის არავითარი მსგავსება არ არის.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირველი დღიდანვე საბჭოთა მთავრობა შეუდგა მეფის რუსეთში მოქმედი კანონების შეცვლას, რომლებიც წლების განმავლობაში უზრუნველყოფდა უმცირესობის ბატონობას უმრავლესობაზე, განამტკიცებდა თვითმპყრობელობის მიერ ადამიანთა მატერიალურ და სულიერ ჩაგვრას. ადამიანთა სულიერი ჩაგვრისაგან განთავისუფლების ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი იყო დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. ამ დეკრეტის გამოქვეყნებით სინამდვილედ იქცა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების სანუკვარი ოცნება — განხორციელდა სინდისის თავისუფლება, სახელმწიფოს გამოეყო ეკლესია და ეკლესიას — სკოლა, უზრუნველყოფილ იქნა მოქალაქეთა უფლება აღიარონ რომელი რელიგიაც მათ სურთ, ანდა არ აღიარონ და არც ცნონ არცერთი რელიგია, „ყარმონ ათეისტური პრობაგანდა.

აღნიშნული უფლებების მნიშვნელობა ცხადი იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში, უპირველესად კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოქალაქეებს უფლება არა აქვთ ათეისტები იყვნენ. ისინი როგორც იურიდიულად, ისევე მორალურად შეურაცხყოფილნი არიან. ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ შტატში არსებული კანონმდებლობით ათეისტის ჩვენებას სასამართლოში არავითარი ძალა არა აქვს, ასევე არავითარი უფლებები არა აქვს ათეისტს სხვა საკითხების გადაწყვეტის დროსაც.

ყველასათვის ნათელია, თუ რაოდენ დიდი მონაპოვარია სსრ კავშირში სინდისის თავისუფლების პრინციპების სრული განხორციელება და გასაგებია, თუ რატომ ალაშქრებენ ამ პრინციპების წინააღმდეგ ბურჟუაზიის დაქირავებული კლერიკალები, ანტისოვეტიზმის ლიდერები.

... უკანასკნელ დროს საზღვარგარეთის პრესა და ოფიციალური რელიგიური ორგანიზაციები განსაკუთრებული მძვინვარებით აკრიტიკებენ ჩვენს ქვეყანაში აკრძალული ზოგიერთი რელიგიური სექტის წინააღმდეგ გატარებულ სრულიად კანონიერ ღონისძიებებს. ეს ღონისძიებები მათ საბჭოთა კავშირში სინდისის თავისუფლების არარსებობის ნათელ გამოხატულებად მიაჩნიათ.

საზღვარგარეთ ყურადღებას ამახვილებენ ჩვენს ქვეყანაში არსებული ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი სექტის, ეგრეთწოდებული ორმოცდათიანელთა რელიგიური ორგანიზაციის აკრძალვაზე. სინამდვილეში აღნიშნული სექტის ზოგიერთი თემის საქმიანობის აკრძალვა იმის შედეგია, რომ ეს საქმიანობა ანტისახალხო და ანტისახელმწიფოებრივია და ზიანი მოაქვს ადამიანებისათვის. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული ორმოცდათიანელთა სექტის ზოგიერთი თემის ხელმძღვანელთა და აქტიურ წევრთა სასამართლო პროცესებმა ნათლად დადასტურა ამ სექტის ურჯულო, ფანატიკური ხასიათი. სექტის სწავლების გაელენით ზოგიერთი ახალგაზრდა უარს ამბობს პიონერიდან და კომკავშირული ორგანიზაციის წევრობაზე. სექტის „წევრები მოწყვეტილი არიან მთელს ჩვენს სინამდვილეს. სექტის რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა და წეს-ჩვეულებების შესრულება დამღუპველად მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე. ეი სწორედ ყოველივე ამის გამო ორმოცდათიანელთა რელიგიური სექტა აკრძალულია ჩვენს ქვეყანაში. ეს კარგად იციან მათმა დასავლელმა ქომაგებმა, მაგრამ მაინც გაპკეცვიან რელიგიური რწმენის თავისუფლებაზე.

რაც შეეხება იეღოველთა რელიგიური სექტის აკრძალვას, აქ ხომ სავმე სრულიად ნათელია. დღეისათვის არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ბრუკლინში არსებული იეღოველთა სექტის ხელმძღვანელობა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი ამ სექტის თემების საშუალებით სადაზვერვო ცნობების შეკრებას ახორციელებს იეღოველთა ეურნალ „ბაშნია სტრაჟის“ საშუალებით, რომელიც მსოფლიოს სამ ათეულზე მეტ ენაზე გამოდის და სადაზვერვო მუშაობის კონსოლიდაციას ისახავს მიზნად. ბრუკლინის ეგრეთწოდებული რელიგიური ცენტრი ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფილიალია.

იმასაც შეეახსენებთ დასავლელ კლერიკალ-ფილოსოფიკატორებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრ რელიგიურ სექტას შექმნილი აქვს ყველა პირობა რელიგიური საქმიანობისათვის. ისინი უშვებენ რელიგიურ ეურნალებს, აწარმოებენ რელიგიურ კონგრესებს, ყრილობებს და ა. შ. მარტო საქართველოში ბაპტისტთა 12 სამლოცველო სახლია.

მაგრამ ყოველივე ამაზე თვალს ხუჭავენ. მათ სურთ ჩვენს ქვეყანაში ნება დართონ ამერიკის სადაზვერვო ორგანოების რელიგიური ნიღბით არსებულ ფილიალებს, ისეთ რელიგიურ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი.

... ზოგიერთი საზღვარგარეთელი ავტორი — კლერიკალი (ნ. სტრუვე, ა. ბოგოლუპოვი და სხვები) უპასუხისმგებლოდ და კონკრეტული ფაქტების დაუსახელებლად პირდაპირ აცხადებს, თითქოს საბჭოთა კავშირში დღემდე ანგრევენ ეკლესიებს, მორწმუნეებსა და კულტის მსახურთ რელიგიური რწმენისათვის ეპატიჟრებენ, მკაცრი რეპრესიებია მათ მიმართ. ამ ბრალდების დასამტკიცებლად ჯერ მთლიანად დამახინჯებით მოჰყავთ ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული მასალები ზოგიერთი კულტის მსახურისა და მორწმუნის დასჯის შესახებ. ისინი მკითხველს და მსმენელს უმალავენ მათი ფასადის ნამდვილ მიზეზებს, აღნიშნავენ მხოლოდ დასჯის ფაქტს და საქმეს ისე წარმოადგენენ, თითქოს ისინი რელიგიური რწმენისათვის დაისაჯნენ.

საბჭოთა კანონმდებლობა არავის არ სჯის რელიგიური რწმენისათვის. კულტის მსახურთა და მორწმუნეების ერთი ნაწილის დასჯის ყველა შემთხვევა დაკავშირებულია მათ მიერ საბჭოთა კანონების დარღვევასთან (ქალის გაუპატიურება, ლოთობა, ხულიგნური საქციელი და ა. შ.). ისინი ისევე ისჯებიან, როგორც ანალოგიური დანაშაულის შემთხვევაში ისჯებიან არამორწმუნე მოქალაქეები. საბჭოთა კავშირში კანონი ყველა მოქალაქისათვის საკალდებულოა, იქნება თუ არა იგი მორწმუნე.

ბურჟუაზიულ კლერიკალებს ხელს არ აძლევთ ჩვენს ქვეყანაში გაშლილი მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის შედეგები. სწორედ ამიტომ ისინი გაშმაგებით ესხმიან თავს ამ მუშაობის წარმმართველ ორგანიზაციებს.

საბჭოთა კავშირში, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობისათვის ყველა პირობის არსებობის ასაბუთებს კონკრეტული ფაქტები. არსებული კანონის შესაბამისად, უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში გახსნა რამდენიმე რელიგიური სასწავლებელი, მათ შორის მცხეთის სასულიერო სემინარია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ბაზაზე, ჩვენს ქვეყანაში რეგულარულად იცემა ყოველთვიური რელიგიური ჟურნალები, ისტამბება რელიგიური წიგნები. სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაცია ატარებს საეკლესიო კრებებს, ყრილობებს, შეკრებებს და ა. შ.

საბჭოთა კავშირში რელიგიური რწმენისათვის დევნას აღიარებენ სხვადასხვა საეკლესიო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საზღვარგარეთის რელიგიური გაერთიანებების თითქმის ყველა ის წარმომადგენელი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში იყვნენ და გაეცნენ რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში მყოფი რელიგიური ორგანიზაციების ლიდერების განცხადება, მათი მოსაზრებები. ისინი ყველანი ერთხმად აღიარებენ საქართველოში რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში მყოფი რელიგიური ორგანიზაციების ლიდერების განცხადება, მათი მოსაზრებები. ისინი ყველანი ერთხმად აღიარებენ საქართველოში რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას სრულ თავისუფლებას და გარანტიას, მორწმუნეებისათვის რელიგიური რწმენის დაკმაყოფილების ყველა პირობის არსებობას. და რა სასაცილოა ამ დროს ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ ის მასალა, რომელშიც საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოსდა საქართველოს ეკლესიის არ ჰქონდეს ნორმალური საქმიანობის პირობები, ხდებოდეს ამ ეკლესიის განძეულობათა მოფიქრებული გაძარცვა და ა. შ.

საგულისხმოა, რომ „ტაიმსის“ მასალი ამერიკულ ჟიზეთ „კრისჩენ ხაიენ მონიტორის“ ყოფილმა მოსკოველმა კორესპონდენტმა ელისაბედ პონდიმ შეამოწმა. ალბათ იგი ფიქრობდა „ტაიმსში“ მოთავსებული მასალის ზოგიერთი ნაწილი მაინც იქნება მართალი, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს სიცრუეა, გაოცებული გაბრუნდა უკან.

... საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი. ვინ არიან ისინი, ვინც ჩვენს ქვეყანაში რელიგიის და ეკლესიის მდგომარეობას მრუდე სარკეში წარმოადგენს? ესეი არიან კათოლიკე მეცნიერ-ნეოთომისტები, ემიგრანტული ორგანიზაციების წევრები- და ხელმძღვანელები, თანამედროვე რევიზიონიზმის ლიდერები, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები, სოვეტოლოგები. მათ შორის არიან რეაქციული კარლოვაცკური ეკლესიის, ეგრეთწოდებული სახალხო შრომითი კავშირის უნიატური ეკლესიის ხელმძღვანელები.

გიგაცნობთ იმათაც, რომლებიც თავიანთი ჩახლეჩილი ხმით ყმლავენ ეთერს ჩვენს ქვეყანაში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ფალსიფიკაციით:

ნიკიტა სტრუვე — ისტორიაში ცნობილი პეტრე სტრუვეს შვილიშვილი, ფაშისტური დაკიდულებულ რუს ემიგრანტ სტუდენტთა კავშირის ლიდერი, ამ კავშირის პერიოდიკის ეურნალის — „ვესტნიკ რუსსკოგო სტუდენჩესკოგო ხრისტიანსკოგო დვიჟენიიეს“ ერთ-ერთი დამაარსებელი.

მიიკ ბურდი — ამერიკის სადაზვერვო ცენტრების აგენტი, რომელიც „სამეცნიერო სტეჟერებს“ მოსკოვში გიგზავნდა.

არქიეპისკოპოს იოანე შახოვსკის ეტიკეტით გამოსული ემიგრანტი გრაფი იოანე შახოვსკი, ფაშისტი დამნაშავე, საბჭოთა წყობილების დაფძინებული მტერი.

ნუგზარ შარია — სამშობლოს გამცემი, ბურჟუაზიული სადაზვერვო ორგანოების მოსამსახურე.

აღნიშნული სიის გაგრძელება შეიძლებოდა, მაგრამ, ეფიქრობთ, საკმარისია ამითაც შემოვიფიგაროლოთ, ვინაიდან სხვა ანტისაბჭოთა ავტორების სოციალური მდგომარეობა და განწყობილება ზუსტად ისეთივეა, როგორც ზემოხსენებულებისა. ამიტომ გასაგებია ის უსაზღვრო ღვარძლიანობა, რასაც ისინი იჩენენ საბჭოთა სინამდვილის დამახინჯების დროს.

ისიც გასაგებია, რომ ამ ბოლო დროს ბურჟუაზიულ-კლერიკალური ფალსიფიკატორები აფიტიურებენ „ამერიკის ხმა“, „ბი-ბი-სი“, „თავისუფლება“, „თავისუფალი ევროპა“ პროგრამებში სათანადო ადგილს უთმობენ ჩვენს ქვეყანაში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ფალსიფიცირებას. საყურადღებოა, რომ ამ რადიოსადგურების რელიგიური განყოფილებები სწორედ უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბდა და უახლოესი ტექნიკით აღჭურვა. მაგრამ ბურჟუაზიული პროპაგანდისტული მანქანა მხოლოდ რადიოგადაცემების საშუალებით როდი აწარმოებს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მტრულ პროპაგანდას.

საბჭოთა კავშირში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ფალსიფიკატორების მიერ შექმნილი მაკულატურა ჩვენს ქვეყანაში შემოაქვთ და აერცელებენ სხვადასხვა საშუალებებით, ფარულად იყენებენ „ახალ საკონტინენტთაშორისო იარაღს“ — ტურიზმს. აღნიშნული იყო შემთხვევები, რომ ჩვენს ქვეყანაში ტურისტული ნიღბით შემოსულ დასავლეთელს გაუვიცელებია მტრული „რელიგიური“ ლიტერატურა, სპეციალური ინსტრუქციები.

რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობის ფალსიფიკატორების შრომებს, რელიგიურ ლიტერატურასა და სპეციალურ ინსტრუქციებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების სადაზვერვო ორგანოები ავრცელებენ და უშვებენ ინსტრუქტაჟს, უშუალო ხელმძღვანელობას.

... ამაოა „ცივი ომის“ პერიოდის აღდგენის მომხრეთა ცდები. სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური დივერსიები ნაყოფს ვერ გამოიღებს. ჩვენი ქვეყნის 60 წლის ისტორიამ მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები თვალნათლივ დაარწმუნა, რომ სწორედ ჩვენში, სსრ კავშირში განხორციელდა პიროვნების თავისუფლების ნამდვილად დემოკრატიული პრინციპები, რომ სწორედ საბჭოთა კავშირშია შექმნილი ნამდვილი თავისუფლების ყველა პირობა და საშუალება.

დ. გეგეშიძე,
დოცენტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი.

მეგობრობის განმტკიცებისათვის

საბჭოთა კავშირში გრძელდება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ერთთვიური. მოხსენება გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მე-7 წლისთავს და ინდოეთის დამოუკიდებლობის 31-ე წლისთავს.

კრებაში მონაწილეობდა ინდოეთის პარლამენტის წევრთა და ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ხელმძღვანელთა დელეგაცია ჯანატა პარტის გენერალური მდივნის რ. კ. ხეგდეს მეთაურობით.

საბჭოთა საზოგადოებრივის წარმომადგენელთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ სსრ კავშირში ღრმა ხიმპათიისა და სოლიდარობის გრძნობით ეკიდებიან გამრჯე ინდოელი ხალხის მეცალინეობას, რომელიც იღვწის ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ამოცანების გადაწყვეტისათვის. განუხრლად მტკიცდება და ვითარდება ჩვენი ქვეყნების მეგობრობა.

ინდოეთის ელჩმა სსრ კავშირში ი. კ. გუჯრალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთ-სსრ კავშირის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა წარმატებით ვითარდება მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, ორი ქვეყნის ხალხთა, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმის ინტერესებისათვის. ელჩმა მაღლობა მოახსენა საბჭოთა ხალხს, რომელიც ეფექტიან დახმარებას უწევს მის ქვეყანას ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

(საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

ერთა ბედი ... ხელოვნური ... ინფორმაცია

ქსაკვლია ღღეს ● ქსაკვლია ღღეს ● ქსაკვლია ღღეს

საჭიროა კონკრეტული ნაბიჯები

ჟენევა. (საკდესი). **განიარაღების კომიტეტის 15 აგვისტოს სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელი ვ. ი. ლიხაჩოვი გამოვიდა ახალ სახეობათა და სისტემათა მახობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხზე.**

საბჭოთა კავშირმა, თქვა მან, წინადადება წამოაყენა აიკრძალოს ახალ სახეობათა და სისტემათა ასეთი იარაღის შემოქმედება და წარმოება. ეს შეთანხმება საიმედოდ დაამკოლებდა ახალ, კიდევ უფრო დამანგრეველ სახეობათა და სისტემათა მასობრივი მოსპობის იარაღის გაჩენას. ამ მიზნის მისაღწევად საბჭოთა დელეგაციამ წინადადება წამოაყენა, რომ განიარაღების კომიტეტის ეგიდით შეიქმნას ავალიფიციური მთავრობის ექსპერტების სპეციალური ჯგუფი, რათა უზრუნველყოს ახალი მომაკვდინებელი იარაღის შექმნის პოტენციურად საშიშ მიმართულებათა უფრო ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა და გამოვლენა.

კომიტეტის მთელმა რიგმა წევრებმა გამოიჩინეს კონსტრუქტივიზმის სულისკვეთება და მაარი დაუჭირეს ამ წინადადებას. ახლა საჭიროა კომიტეტის წევრებმა ყველაფერი იღონონ, რათა ავალიფიციური ექსპერტების ასეთ ჯგუფმა შეძლოს მუშაობის დაწყება უახლოეს ხანებში, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა.

მან წინადადება წამოაყენა აგრეთვე შეუდგნენ განიარაღების კომიტეტის წევრი სოციალისტური ქვეყნების იმ წინადადებათა პრაქტიკულ რეალიზაციას, რომლებიც ეხება საერთაშორისო კონვენციის დადებას ბირთვული ნეიტრონული იარაღის წარმოების, დაგროვების, განლაგებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ. კონვენციის ხელმოწერა თვალსაჩინოდ დაადასტურებდა, რომ ყველა სახელმწიფოს სწადია იაროს განიარაღების დარგში რეალურ წარმატებათა მიღწევის გზით. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას გადაწყვეტილი აქვს იმოქმედოს თავისი განცხადების შესაბამისად, „ერძოდ, არ შექმნის ნეიტრონულ იარაღს, თუ არც შეერთებულმა შტატებმა შექმნა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთს, ჩინეთს, ინდოეთს მოუწოდა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოლაპარაკებას ამის თაობაზე, რომ მთლიანად და ყოველგვარი პირობის წამოუყენებლად აიღონ ხელი ბირთვული ნეიტრონული იარაღის წარმოებასა და განლაგებაზე.

პოლიტიკური სპექტაკლი

ბეირუთი. (ხაკდესი). **ეგვიპტის მმართველი ცენტრალისტული პარტიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს პარტია „კოლექტიურად შედის“ ეგრეთ წოდებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელსაც ახლა ხადათი ქმნის. აღსანიშნავია, რომ ცენტრისტებმა ხადათის პარტიასთან შეერთების განზრახვის შესახებ ეხი გამოაცხადეს, არც კი დალოდნენ ამ პარტიის პროგრამის გამოქვეყნებას.**

ამგვარად, გამართლდა მეთვალყურეთა ვარაუდი, რომ საკუთარი პოლიტიკური პარტიის დაარსების თაობაზე საადათის გადაწყვეტილების მიღმა იმალება ორ მარტო მისი სწრაფვა განიმტკიცოს შერყეული პირადი პოზიციები. ამავე დროს მას სურს განახორციელოს მორიგი მანევრი, რომლის მიზანია მასებს შეუქმნას ილუზია, რომ შესაძლოა მთავრობის არაპოპულარული პოლიტიკის შეცვლა. პრეზიდენტმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია პოლიტიკური ასპარეზიდან უბრალოდ ჩამოშორებინა სახელგანოქმული პარტია. ნაფიქრებული მანევრისათვის „კანონიერი“ ხასიათი რომ მიენიჭებინათ, მოაწყეს სადათის მეთაურობით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის სპექტაკლი. ამ პარტიაში ავტორიტეტი „კოლექტიურმა შესვლამ“ ცხადყო, რომ საქმე ეხება მხოლოდ მმართველი პარტიის ბრის შეცვლას.

მომომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს მანევრები მიმდინარეობს ეგვიპტის პროგრესულ ძალთა წარმომადგენლებზე. პირველ რიგში ეროვნულ-პროგრესულ (ფარიტენი) პარტიაზე სადათის რეჟიმის განუწყვეტელი თავდასხმების პირობებში.

მოკლედ

ყოველი ესრიდან

□ **ლონდონი.** ინგლისის საავტომობილო მშენებლობის მწვავე კრიზისი მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ ინგლისი ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შევიდა, აღნიშნულია ლონდონის ფირმის „ლეინგ ენდ კრუკშანკის“ აქ გამოქვეყნებულ მოხსენებაში. ინგლისის საავტომობილო საწარმო ვერ უძლებს კონკურენციას თავის პარტნიორებთან „საერთო ბაზარზე“. მოხსენების მონაცემებით, მარტო 1975 წლის დამდეგიდან 1977 წლის დამლეგამდე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნების პროდუქცია ინგლისის საავტომობილო ბაზარზე 19-დან 34 პროცენტამდე გაიზარდა.

□ **ვაშინგტონი.** „შერწყმის“ ეპიდემიამ კვლავ მოიცვა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი სამყარო. ადგილობრივი უარგონით „შერწყმა“ ერთი მონოპოლისტური გიგანტის მიერ მეორე უფრო სუსტის შთანთქმას ნიშნავს. „უ. ტ. გრიმის“ კომპანიის მონაცემებით, რომელიც ახეთ გარიგებებს აღრიცხავს, 1978 წლის პირველ ნახევარში გამოცხადებული იყო 1.107 „შერწყმის“ შესახებ, რაც ოთხი პროცენტით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს.

□ **კარაკასი.** ვენესუელის ლა-გუაირას დოკერებმა უარი განაცხადეს ჩილეს საქონლით დატვირთული გემის განტვირთვაზე.

ნავსადგურის მშრომელებმა გადაწყვეტეს არ დაამუშაონ ჩილედან მოხული და ჩილეში მიმავალი გემები, ვენესუელის ნავსადგურის მუშების ფედერაციის გადაწყვეტილების შესაბამისად. ფედერაციის ხელმძღვანელობამ ქვეყნის სხვა პროფკავშირებს მოუწოდა ბოიკოტი გამოუცხადონ ხუნტასთან სავაჭრო ურთიერთობას ჩილელ მშრომელთა გმირული ბრძოლისადმი სოლიდარობის ნიშნად.

□ **ლუსაკა.** ხმიტის რასისტულმა რეჟიმმა ახალი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინა. როგორც სოლსბერიდან იტყობინებიან, როდეზიის პოლიციამ ტყვია დაუშინა მანგულის სპილენძის საბადოს გაფიცულ აფრიკელ მუშებს. მათ გაფიცვა გამოაცხადეს აუტანელი შრომის პირობებისა და თეთრკანიან მეპატრონეთა მხრივ სასტიკი ექსპლოატაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, პოლიციური რეპრესიის შედეგად მოკლულია 4 და დაჭრილია 5 კაცი.

საჭიროა კონკრეტული ნაბიჯები

განიარაღების კომიტეტში

□

მიმართულებათა უფრო ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა და გამოვლენა.

კომიტეტის მთელმა რიგმა წევრებმა გამოიჩინეს კონსტრუქტივიზმის სულისკვეთება და მაარი დაუჭირეს ამ წინადადებას. ახლა საჭიროა კომიტეტის წევრებმა ყველაფერი იღონონ, რათა ავალიფიციური ექსპერტების ასეთ ჯგუფმა შეძლოს მუშაობის დაწყება უახლოეს ხანებში, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა წარმომადგენელმა.

მან წინადადება წამოაყენა აგრეთვე შეუდგნენ განიარაღების კომიტეტის წევრი სოციალისტური ქვეყნების იმ წინადადებათა პრაქტიკულ რეალიზაციას, რომლებიც ეხება საერთაშორისო კონვენციის დადებას ბირთვული ნეიტრონული იარაღის წარმოებასა და განლაგებაზე.

პორტუგალია

კონსულტაციები გრძელდება

ლისაბონი. 15 აგვისტო. (ხაკდესი). **პორტუგალიის ახალი პრემიერ-მინისტრი ალფრედუ ნობრე და კოშტა ქვეყნის უდიდეს პოლიტიკურ პარტიებთან განაგრძობს კონსულტაციებს ახალი მთავრობის შედგენის მიზნით.**

სოციალისტური პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული ცენტრის წინაკანონმდებლო, როგორც უკვე ვიუწყებოდით, დაამალა სოციალ-დემოკრატიული ცენტრის ის ულტიმატუმური მოთხოვნების შემდეგ, რომლებიც მთავრობის ეგრეთწოდებულ სახელობათა და მთელი მისი პროგრამის შეცვლას ითვალისწინებდა. რაც კოალიციის პარტნიორებმა ცენტრისტებს მტკიცეული ოთხრეს, მათ გაიწყვეს თანამონაწილეობა მინისტრებში. ცალმხრივად გაწყვიტეს სოციალისტურ პარტიასთან შეთანხმება და ფაქტურად პროვოკაციულად გამოიწვიეს მ. სოარეშის კაბინეტის დაშლა.

გუშინ ნობრე და კოშტამ მიიღეს სოციალ-დემოკრატიული ცენტრისა და სოციალისტური პარტიის დელეგაციები. სოციალ-დემოკრატიული ცენტრის ლიდერმა ფერეირამ დუ ამარალმა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ ეურნალისტებს განუცხადა, რომ ცენტრისტები წინააღმდეგი არიან მთავრობისა, რომელიც რესპუბლიკის კრებაში არ ეყრდნობა უმრავლესობას.

მან ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ უსოციპარტიული ახალი კაბინეტი ამ სიტუაციაში მხარისა მხარდაჭერა მოიპოვოს პარლამენტში.

პრემიერ-მინისტრთან მოლაპარაკების დროს სოციალისტური პარტიის დელეგაციაში არ შედიოდა პორტუგალიის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი მ. სოარეში. ლისაბონს გაზეთები ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ამავე დროს მოპყავთ მ. სოარეშის რადიოინტერვიუ. როგორც უკვე გიუწყებოდთ, პორტუგალიის სოციალისტური პარტიის ლიდერმა კატეგორიულად უარყო ნობრე და კოშტას ის იდეა, რომ შეედგინათ მთავრობა ხუთი დამოუკიდებლის, ხუთი სოციალისტის, სამი სოციალ-დემოკრატისა და ორი ცენტრისტის მონაწილეობით. ასეთი კაბინეტი, განაცხადა მან, თავისი არსით შემარჯვენულია იქნება.

ნობრე და კოშტა გუშინ მიიღო პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა ა. რამალიუ ანესშმა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ ახალმა-პრემიერ-მინისტრმა უპასუხა ეურნალისტთა კითხვებს და აღიარა, რომ სოციალისტების მონაწილეობა ახალ მთავრობაში წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან მისი მოლაპარაკების ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. მაგრამ განაცხადა, რომ პორტუგალიის სოციალისტური პარტიის გადაწყვეტილებას მიუხედავად ამორეს შეადგინოს კაბინეტი, რომელიც შეძლებს ქვეყნის მართვას „ადამდელი არჩევნებისათვის მზადების პერიოდში. ნობრე და კოშტამ აღნიშნა აგრეთვე, რომ ახლა ყოველ დონეს ხმარობს, რათა შეადგინოს მთავრობა დამოუკიდებელთა საფუძველზე. მისი თქმით, პარტიებთან მოლაპარაკებაზე მიღწეულია გარკვეული პროგრესი.

ფოტოობიექტივი ქმხილებს

იბრძვიან უფლებებისათვის

ამერიკის შეერთებულ შტატებში არ წყდება ხაზოგადოებრიობის გამოხვლება ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ამერიკელი კორპორაციები სხვადასხვა საბაბით ქალებს სამუშაოზე არ იღებენ. მათ შორის უმუშევრობა ერთნახევარჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო დონეს, ხოლო ხელფასი მამაკაცის საშუალო ხელფასის 57 პროცენტს შეადგენს. შემთხვევითი არ იყო, რომ 1977 წლის ბოლოს ამერიკის ქალთა საკითხების ეროვნულმა კომისიამ თავის მოხსენებაში აღიარა, „მილიონობით ამერიკელი ქალისათვის დისკრიმინაცია, შეზღუდული პერსპექტივები და ეკონომიკური სიდუხჭირე კვლავინდებურად ყოველდღიური სინამდვილე რჩებაო“.

სურათზე: მახობრივი დემონსტრაცია ქალაქ სიეტლში (ვაშინგტონის შტატი) ამერიკელ ქალთა უფლებების დასაცავად.

აპ-სპაიდლისის ფოტო.

ვის აძლევს ხელს ეს ხელშეკრულება?

ტოკიო. (საკდესი). **პეკინში იაპონიასა და ჩინეთს შორის „შვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულების“ ხელმოწერის გამო მრავალრიცხოვანი გამოხმაურებანი ცხადყოფს, რომ თუ მსოფლიოს საზოგადოებრიობის ფართო წრეები გადაჭრით გმობენ მას, რეაქციული წრეები, მილიტარისტები, რომლებიც სამხედრო და ეკონომიკური ექსპანსიის გეგმებს, აწყობენ აღფრთოვანებული არიან.**

როგორც პონკონგის ეურნალი „სინ ჯიშე“ მოწმობს, ამ წრეებში ერთი მიმდინარეობს პეკინის ეგიდით „იაპონია-ჩინეთის მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულებასა და იაპონია-ამერიკის უმშროების ხელშეკრულების შორის ხიდის გადების გზით“ ეგრეთ წოდებული „ალმოსავლეთ ნატოს“ შექმნის სხვადასხვა ვარიანტების განხილვა. ამასთან დაკავშირებით, როგორც ეურნალი წერს, „ჰეგემონიზმის კონფრონტაციის პუნქტი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩინეთის სტრატეგიაში“.

ეურნალისტთა წერეთნი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ახლანს ჩინეთს ეწვია იაპონიის მალი თანამდებობის სამხედრო პირების მრავალი დელეგაცია, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ ჩინეთის შეიდგომ მილიტარიზაციას. ამავე წრეებში საკმაოდ სკეპტიკურად აღიქვამენ იაპონელი ლიდერების მტკიცებებს იმის შესახებ, რომ პეკინში დადებულ შეთანხმებას არა აქვს ანტიაბჭოური ხასიათი. ეს აღნიშნავენ, რომ პეკინში ხელშეკრულების დადება უშუალოდ მოჰყვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის სიუი სიან-ციანის წამქიზებლური სტატიას, სადაც იგი ამაკრად აცხადებს „ომის გარდუვალობას“, საბჭოთა კავშირს კი „ნომერ პირველ მტრად“ უწოდებს. ასეთ პირობებში, აღნიშნავენ აღგილობრივი მეთვალყურენი, იაპონელ ხელმძღვანელთა მტკიცებანი იმის შესახებ, რომ პეკინის ხელშეკრულება „არ არის მიმართული მესამე ქვეყნის წინააღმდეგ“ დამაჯერებლად არ ჟღერს.

ჩინეთის ლიდერთა გამონათქვამებიც იხადაოდეს, რომ პეკინში მართლა ეძებენ აგრესიული სამხედრო ალიანსის ფორმებს.

ბეიჯინგი — ტოკიო

მსოფლიო საზოგადოებრიობა გმობს იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულებას

ლიანი, ეს ალიანსი, ეს ალიანსი, ეს ალიანსი, ეს ალიანსი, ეს ალიანსი, ეს ალიანსი, ეს ალიანსი, ეს ალიანს

საქართველოს მთა-ბარზე

მთაში, მწყემსებთან

ონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში მამისონის საბაჯხეულო საძოვრებზე მყოფ მეცხოველეებს ესტუმრა ადგილმხატვრული ბრიგადა, რომელიც ავტობიოგრაფიკის, კულტურის სასახლისა და კინოთეატრის მუშაკებით იყო დაკომპლექტებული.

ბრიგადის წევრებმა მწყემსებსა და მწყალობლებს მიუტანეს ახალი ეროვნულ-გაზეთები, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, წაიკითხეს ლექციები. ავიტატორებმა და მომხსენებლებმა მეცხოველეებს განიმარტეს ის ამოცანები, რაც დასახულია ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სკკ ცენტრალური კომიტეტის იულისის პლენუმზე.

დასასრულს ნაჩვენები იქნა კინოფილმი.

კურსებიდან — ციმბირის მშენებლებს

ტყიბული. (საკ. კორ.). მეათე ხუთწლედის მესამე წელს დამკვრელურად შრომობს კურსების გრანიტის ქარხნის კოლექტივი. მან შვიდი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მეგრანიტეებმა წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 14 ათასი მანეთის სამშენებლო ნაკეთობანი. სასახარულოა სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებიც. აქ თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება საგეგმოსთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, დაკვლების გადამეტებით რეალიზებულია 26 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამ დღეებში გრანიტის გაპრიალებული სამშენებლო ფილების დიდი პartია გაიგზავნა ციმბირის სამრეწველო ცენტრებში — ტომსკსა და სხვა ქალაქებში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ქვისმთლელები პ. ქათამაძე, ა. ნიშნიანიძე, გ. მაღლაქელიძე და ი. მამრიკიშვილი, რომლებიც ცვლის დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებენ.

მოიგო ავტომანქანა

აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში მცხოვრებმა მოქალაქე რ. თ. ზარქუამ ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის № 3523 შემნახველ სალაროში წარმოადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების დამატებითი ლატარიის ბილეთი (№ 040, ზერია 46535), რომელმაც აიტომანქანა „ეიგული-2101“ მოიგო.

დ. შერგელაშვილი,
შემსალაროს გამგე.

ძიებისა და სიახლის გზით

ალ. გუკიას საბავშვო ოპერა ქუთაისის სცენაზე

ქუთაისის საოპერო თეატრის ფილიალის სცენაზე ახალი სცენური სიცოცხლე შეიძინა ა. ბუკიის პოპულარულმა საბავშვო ოპერამ „დაუპატიჟებელმა სტუმრებმა“. დადგმის ავტორია ახალგაზრდა რეჟისორი მ. კიკნაძე, რომელმაც მოსკოვში დაახრულა სტაჟირება რსფსრ სახალხო არტისტთან, სახელმწიფო პრემიების ლაურეატთან, რეჟისორ ბ. ანსიმოვთან.

სპექტაკლი თავისი მუსიკალურ-სცენური გადაწყვეტით განსხვავდება ამ საბავშვო ოპერის ადრინდელი დადგმებისაგან. იგი ეყრდნობა ფანტასტიკური რეალიზმის პრინციპებს, რომლებიც საბჭოურ სცენაზე დამკვიდრა რეჟისორმა ე. ვახტანგოვმა. სპექტაკლში ერთმანეთს შეერწყა ფანტასმაგორია და რეალობა. სცენურმა მოვლენებმა ალეგორიულ შინაარსთან ერთად იდეური მიზანდასახულება შეიძინა. წარმოიშვა გამჭოლი ხაზი — ბაღნარი იქცა სამშობლოს სიმბოლოდ, მახრები — მტრებად, ხოლო პიონერები — სამშობლოს დამცველებად. ეს ინტერპრეტაცია მთლიანად ეყრდნობა ოპერის მუსიკალურ დრამატურგიას, რომელიც ორგანულად არის გამოხატული სცენური მოქმედებით.

მთავარი პერსონაჟების, „გიგისა და თინას სახეები თუმცა ტრადიციულად არის გადაწყვეტილი, მაგრამ სცენური ანტურაჟის სიახლემ, ყვავილებისა და მახრების პერსონიფიკაციამ წარმოშვა ურთიერთობის ახალი შრეები, ახალი მიმართულება მისცა მათს სცენურ მოქმედებას. ამიტომ გაცოცხლდა მახრების სიძის მოკვლის სცენა, რომელიც სცენის მიღმა, უკანა ფარდაზე არეკლილ ჩრდილებშია წარმოსახული (ჩრდილების თეატრის ეს ხერხი მრავალჯერ არის გამოყენებული). ამანვე ბუნებრივი და მომხიბლავი გახადა ციცინათელების ფონზე თინას იავნანა, მახრების მიერ გათელილ ყვავილს რომ უმღერის. თინას როლს ჩვეული ოსტატობით და არტისტიზმით განასახიერებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. დოლიძე. გამოცდილ მსახიობს ღირსეულად აუბა მხარი ახალგაზრდა მომღერალმა ნ. სულაბერიძემ (გიგი).

რეჟისორისა და მსახიობის ა. მაუკელაშვილის მიგნებაა მებაღის სახის მხატვრული გადაწყვეტა. პარტიტურაში იგი შემოსაზღვრულია მხოლოდ დიდაქტიკური ფუნქციით. სპექტაკლში მებაღე სათნო და ოდნავ უცნაური ადამიანია. ამან უბრალო და ბუნებრივი გახადა მისი დამოკიდებულება ბავშვებთან.

შესანიშნავ ვოკალურ და სცენურ ნიჭს ავლენს მახრების ხელმწიფის როლის შემსრულებელი ი. ქუთათელაძე. ამ პარტიაში დიდ გასაქანს პოულობს მისი ვოკალური შესაძლებლობები.

მსახიობ შ. ოღოლბერიძის ვეზირის მკვეთრად სახასიათო ვოკალური სცენური სახე აღბეჭდილია ინტონაციური მრავალფეროვნებით, გამომსახველობითი პალიტრის სიმდიდრით. მსახიობი სრულყოფილად ფლობს სცენურ გროტესკს.

მსახიობთა ანსამბლს პარმონიულად ერწყმის თ. ნიკოლაძის მიერ შესრულებული ხელმწიფის ასულის ვოკალურ-სცენური სახე.

ირონიული დისტანციით, სატირული თვალთა არის დანახული მახრების სახელმწიფო. გუნდი გამოირჩევა ინტონაციური სიწმინდით, ვოკალური ხმოვანების სისავსით (ქორმაისტერები — ა. მაჭავარიანი, ო. თოფურიძე). სპექტაკლს მოძებნილი აქვს მეტაფორებით მდიდარი მეტუველი პოეტური ფორმა.

სპექტაკლის წარმატებას უდავოდ ხელი შეუწყო მხატვარ თ. არსენიძის მიერ შექმნილმა განზოგადებულმა და ლაკონიურმა დეკორაციამ. იგრძნობა სტილის ერთიანობა, რეჟისორისა და მხატვრის ჩანაფიქრის მთლიანობა.

სპექტაკლის დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. კობახიძე. მუსიკალური მომზადების თვალსაზრისით, სპექტაკლს თითქოს გულმოდგინე დამუშავება აკლია. ანსამბლებში მომღერლები ძლიერ არიან მოჯაჭვული დირიჟორის ჯოხს. არცთუ იშვიათად ირღვევა ჟღერადობის ბალანსი, რაც, იმედია, თანდათან გამოსწორდება ამ გამოცდილი დირიჟორის შემწეობით.

რეჟისორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ ყველაფერში იგრძნობა ზომიერება, სავაშვო ოპერის ჟანრული სიწმინდისაკენ ლტოლვა, გამოკვეთილია სამშობლოს დაცვის თემა.

ქუთაისის საოპერო თეატრის ფილიალის სპექტაკლი იმითაც საყურადღებოა, რომ მასში ზუსტად არის მიგნებული მუსიკისა და სცენური მოქმედების ურთიერთდამოკიდებულება. ეს ორი ფენომენი კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ თანხმიერად მიისწრაფვის ერთი მიზნისაკენ — ვოკალურ-სცენური სახის შექმნით მიაღწიოს აქტიური მოქალაქეობრივ ზემოქმედებას. დადგა ერთხელ კიდევ ნათელყოფს იმ რეჟისორულ სიმცდარეს, როცა სურთ დრამატული თეატრისათვის ნიშნეული რეჟისურა თავს მოაჭიონ საოპერო თეატრს, და გვარწმუნებს, რომ საოპერო ენრის ტრადიციებზე დაყრდნობით ყველა ძიება და სიახლე გამართლებულია.

მ. გეგია,
თეატრმცოდნე.

* * *

სურათზე: სპექტაკლის სცენა. თინა — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. დოლიძე (მარცხნივ), გიგი — ნ. სულაბერიძე.

ვ. შუტოვის ფოტო.

ჩვენს დედაქალაქში

ახალი საბაგირო გზა

საქართველოს დედაქალაქში მწყობრში ჩადგა ახალი საბაგირო გზა, რომელიც საბურთალოს ლისის ტბასთან აკავშირებს.

ოთხწუთნახევარში „პატარა“ ვაგონს მგზავრები ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე პატარა სადგურიდან ტბის წარმტაც ხანაპიროზე გადაპყავს. გზამ გააადვილა წყალსაცავის მახლობლად მდებარე ახალი ონკოლოგიური ცენტრის პაციენტების მიმოსვლაც.

საჰაერო ტრასის სიგრძე 1.110 მეტრია, მისი გამტარიანობა — 740 კაცი ორივე მიმართულებით, ვაგონში 25 მგზავრი ეტევა.

სურათებზე: ქალაქის საბაგირო გზის ზედა სადგური; ლისის ტბის ერთ-ერთი კუთხე, რომელიც თბილისს „საუკავშირო“ მოხერხებული საგზავრო ტრანსპორტით.

ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ა. ი. ჯიჯიკა

გარდაიცვალა სკკ წევრი 1917 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პირსონალური პენსიონერი ივანთანდილ იორდანეს ძე ჯიჯიკა.

ა. ი. ჯიჯია დაიბადა 1894 წელს ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრის სოფელ ჭალიგლეხის ოჯახში. ა. ი. ჯიჯიან დაამთავრა ჭიკანჭარის ოოწლიანი, შემდეგ ზოგადიდის ექვსკლასიანი სასწავლებელი. რაკი სწავლის გაგრძელების საშუალება არ ჰქონდა, სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში.

1915 წელს ა. ი. ჯიჯია გაიწვიეს ჯარში. იგი მსახურობდა ცალკე სატელეგრაფო ასეულში, ჯერ ბრესტ-ლიტოვსკის სამაგრეში, შემდეგ ვიბორგში. ფრონტზე იგი ხვდებოდა ადამიანებს, რომლებსაც სიმართლე შეეჭონდათ მასებში.

1917 წლის აპრილში ა. ი. ჯიჯია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცნობილ გამოსვლას. რევოლუციის ბელადის მგზნებარე სიტყვებმა საბრძოლველად აღაფთო ა. ი. ჯიჯია, რომელიც ხამუდამოდ ჩადგა ამათ რიგებში, ვინც აქტიურად იბრძოდა რევოლუციის საქმისათვის.

მალე ა. ი. ჯიჯია შედის რსდმპ (ბ) რიგებში. მას ამხანაგები ირჩევენ ვიბორგის სამაგრის სტალელარაფო ასეულის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარედ და ამავე ასეულის სასამართლოს თავმჯდომარედ.

რევოლუციურად განწყობილი ასეული ოქტომბრის პირველ დღეებში გაგზავნეს პეტერბურგში. იმ დღეებში ა. ი. ჯიჯიას წილად ხვდა დიდი ბედნიერება — სმოლნში მიტინგის დროს ენახა და მოისმინა ვლადიმერ ილიას ძე ლენინისათვის.

1918 წლის მარტის ბოლოს ა. ი. ჯიჯია ავად გახდა. გამოჯანმრთელების შემდეგ მას გზავნიან ყაზანსიაში, სადაც მეტად საშიერო იყო მისი რევოლუციური გამოცდილება; იგი საქართველოში აქტიურად იბრძოდა მეზშევიკების წინააღმდეგ.

1920 წელს ა. ი. ჯიჯია მენშევიკებმა დაუპატიმრეს და როგორც სამხედრო ვალდებული ეტაპირებენ იქნა ბათუმის სამხედრო ნაწილში. აქ იგი დაუკავშირდა ბოლშევიკებს, შეუდგა რევოლუციურ პროპაგანდას ჯარისკაცებს შორის, შემდეგ ბოლშევიკების ჯგუფთან ერთად არალეგალურად ოატოვა თავისი ნაწილი. რამდენიმე ხანს იგი იმალებოდა ოორდიდის მაზრაში და იქ ეწეოდა არალეგალურ მუშაობას. [illegible] ბელისეულ [illegible] საქართველოში.

[illegible] 1921 [illegible] ა. ი. ჯიჯია [illegible] ბერგელ [illegible] ბ. ა. ლაპინი [illegible] ბ. ა. ლაპინი [illegible] ბ. ა. ლაპინი